№ 5

ჯ ი ო ნ ე ბ ი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

Пионери Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии (на грузинском языке)

წ ე ლ ი წ ა დ ი 21-ე
1947 წელი

№ 5
მ ა ი ს ი

გამომცემლობა „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“

რედაქციის მისამართი:
თბილისი ლენინის ქ., № 28,
ტელეფონი № 3-81-85

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა ი ს ი

მომხიბვლელი დროა გაზაფხული. მოხუცსაც ახალგაზრდულად უძგერს ამ დროს გული... მაგრამ მთელ თავის სიდიადეს გაზაფხული მაისში ავლენს.

ყვავილთა სიამაყე ვარდი მაისში იშლება მეტი ძალით და ფრინველთა შორის უბადლო მგალობელი ბულბული, გათენებისას ვარდის ბუჩქზე ჩამომჯდარი, ამ დროს გალობს უფრო წარმტაცად და მომხიბვლელად.

ლამაზი თვეა მაისი, მაგრამ თავისუფლების მოყვარულმა და უკეთესი ცხოვრებისათვის მებრძოლმა ადამიანებმა მეტად გააწარმტაცეს და დიდების შუქით შემოსეს იგი.

მაისის დამამშვენებელი ორი ბრწყინვალე დღე—პირველი მაისი და ცხრა მაისი დიდებულ დღეთა რიცხვში დგანან. მათი სახელი გვამხნევებს, მათი შუქი გვალფრთოვანებს, როგორც ავდრიანი ღამის შემდეგ მტრედისფერად გახსნილი ცა და გათენება.

პირველი მაისი—ყველა ქვეყნის მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღე დიდი ხანია საზეიმო დღეა; დიდი ხანია გვახარებს თავისი მოსვლით და ქუჩებსა და მოედნებზე გამოვყავართ სადღესასწაულოდ.

ცხრა მაისი ორი წელია რაც ჩადგა ისტორიულ დღეთა რიგში.

სიკეთისა და სინათლის მტერზე—ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ შემოსა იგი დიდების შუქით.

სტალინის მზით განათებულ ქვეყანას მუდამ აღაფრთოვანებს ცხრა მაისი, როგორც დასრულებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომებიდან დაბრუნებულ გმირს გამარჯვებათა მოგონება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4338

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვების მთავარსარდალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იცოცხლე! დროშად გვიძღოდე წინა
შენ, გამარჯვების მთავარსარდალო!“

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავზე თავის მოხსენებაში ამხანაგმა ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვმა სთქვა: „ეს ჩვენი ბედნიერება იყო, რომ ომის მძიმე წლებში წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს წინ მიუძღოდა საბჭოთა კავშირის ბრძენი და ნაცადი ბელადი დიდი სტალინი. გენერალისიმუს სტალინის სახელით ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და მსოფლიო ისტორიაში შევა ჩვენი არმიის სახელოვანი გამარჯვებანი“.

ამ სიტყვების ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს სამამულო ომის მთელი მსვლელობა.

1941 წლის 22 ივნისს, როცა ჩვენი ბედნიერი ქვეყნის მინდვრებში, სოფლებსა და ქალაქებში შემოიჭრნენ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული გერმანელი ფაშისტები, დიდმა სტალინმა არ დაუმალა ხალხს, რომ „ჩვენი სამშობლო სერიოზული საფრთხის წინაშეა“, მაგრამ მან იმთავითვე გენიალურად განჭვრიტა ფაშისტური არმიის საბოლოო ბედი და ხალხს გამარჯვების მტკიცე იმედი შთაუნერგა: „... გერმანელთა ფაშისტური არმიის საუკეთესო დივიზიები დამარცხებულნი იქნენ ჩვენი წითელი არმიის მიერ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჰიტლერის ფაშისტური არმიაც შეიძლება ისევე დამარცხდეს და დამარცხდება კიდეც, როგორც დამარცხდნენ ნაპოლეონისა და ვილჰელმის არმიები“.

ბელადის მოწოდება იყო: „ხალხის მთელი ძალები—მტრის გასანადგურებლად!“—და იგი, გენიალური მოაზროვნე, ორგანიზატორი, სამხედრო სტრატეგი, დიდი მხედართმთავარი, თვით ჩაუდგა სათავეში ამ ძალებს, წარუძღვა მათ გამარჯვებისაკენ.

ხალხს სწამდა გამარჯვება, რადგან ათეული წლების მანძილზე იგი თვალნათლივ ხედავდა: სადაც სტალინია—იქ გამარჯვებაა!

სამამულო ომის დროს ბელადის ბრძნული აზრი ხელმძღვანელობდა უძლეველი საბჭოთა არმიის შექმნას, ახალი რეზერვების მომზადებას, ფაბრიკა-ქარხნებისა და კოლმეურნეობების მუშაობას, ურთულესი სახელმწიფოებრივი მანქანის შეუჩერებლივ სვლას. სტალინის მითითებით იმ რაიონებიდან, რომლებსაც დროებითი ოკუპაცია მოელოდათ, აღმოსავლეთში გადატანილ და ამუშავებულ იქნა ასობით დიდი საწარმო. ჩვენი გიგანტური ქვეყნის სხვადასხვა რაიონში აშენდა მრავალი ახალი ფაბრიკა-ქარხანა. სტალინის მიერ შექმნილი საბჭოთა ინდუსტრია და სოციალისტური სოფლის მეურნეობა იძლეოდნენ ყველაფერს, რაც საჭირო იყო გამარჯვებისათვის. სტალინი მუდამ უშუალოდ ხელმძღვანელობდა ყველა სახის ახალი საბრძოლო იარაღის შექმნის საქმეს.

აი, ერთ-ერთი საინტერესო ფაქტი: ამხანაგი სტალინი თავის კაბინეტში ეცნობოდა ახალი მძიმე ტანკის პროექტს. ტანკის მაკეტს ჰქონდა სამი კოშკურა ქვემეხებისათვის და რამდენიმე ტყვიამფრქვევი. სტალინი ზედმიწევნით გაეცნო პროექტს. ჩაფიქრებულმა კაბინეტში გაიარ-გამოიარა, შემდეგ მაკეტთან მივიდა და მოხსნა ერთი კოშკურა.

— რამდენი მოგხსენი?—იკითხა მან.

— სამი ტონა, ამხანაგო სტალინ!—იყო კონსტრუქტორის პასუხი.

— ეს წონა გამოიყენეთ ჯავშნის გასაძლიერებლად, — სთქვა იოსებ ბესარიონის-ძემ. — გეზი უნდა ავიღოთ ჯავშნის სისქის გადიდებაზე. არაფერი საჭირო არაა ტანკზე გვქონდეს კოშკურების დიდი რაოდენობა.

ამხანაგმა სტალინმა წინადადება მისცა შეექმნათ მძიმე ტანკი სქელი ჯავშნით და ერთი მძლავრი ქვემეხით.

ასე დაიბადა ცნობილი საბჭოთა ტანკი, მტრის რისხვა—„კვ“.

დიდმა სტალინმა შექმნა უძლიერესი ავიაცია, არტილერია, მოტომექანიზებული ნაწილები, სატანკო არმიები, რომლებიც სამამულო ომის წლებში მან შეაიარაღა ისეთი საუკეთესო თვითმფრინავებით, ზარბაზნებითა და ტანკებით, როგორიც მტერს არ გააჩნდა.

სამამულო ომის ფრონტის ხაზი გადაჭიმული იყო სამი ათას კილომეტრზე—შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე. ომის პირველ ხანებში ჩვენი არმია უკან იხევდა, რადგან ფაშისტური არმია მას თავს დაესხა მოულოდნელად. გერმანელები უკვე ნაწრთობი იყვნენ ომებში, რიცხვობრივად სჭარბობდნენ საბჭოთა მეომრებს, მეტი თვითმფრინავები და ტანკები ჰქონდათ.

საბჭოთა არმია ომის პირველ პერიოდში, ახორციელებდა რა სტალინურ სამხედრო გეგმას, უკან იხევდა, მაგრამ აქტიურ თავდაცვას ეწეოდა, ინარჩუნებდა ცოცხალ ძალას, კონტრდარტყმებით დიდ ზარალს აყენებდა მტერს, სისხლიდან ცლიდა მას. ამის შედეგად ჩვენი ქვეყანა იგებდა უძვირფასეს დროს, რაც საჭირო იყო ჩვენი არმიის სრული მობილიზაციისათვის.

და, აი, დადგა მომენტი, როცა უკან დახევა აღარ შეიძლებოდა: უკან იყო ჩვენი ქვეყნის გული—მოსკოვი!

აქ, მოსკოვთან, უმზადებდა დიდი მხედართმთავარი პირველ გამანადგურებელ დარტყმას ჰიტლერის არმიას. 1941 წლის 7 ნოემბერს მოსკოვში წითელი არმიის პარადზე წარმოთქმულ სიტყვაში სტალინმა სთქვა: „მტერი არც ისე ძლიერია, როგორც მას ზოგიერთი შეშინებული ინტელიგენტუნა გვიხატავს. ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც მას ხატავენ. ვის შეუძლია იმის უარყოფა, რომ ჩვენს წითელ არმიას არა ერთხელ გაუქცევია პანიკით მოცული გერმანელთა ნაქები ჯარები? თუ ვიმსჯელებთ არა გერმანელ პროპაგანდისტთა ტრაბახა განცხადებების მიხედვით, არამედ გერმანიის ნამდვილი მდგომარეობის მიხედვით, ძნელი არ იქნება იმის გაგება, რომ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები კატასტროფის წინაშე დგანან“.

მოსკოვის დამცველებს, მთელ საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებდა დიდი ბელადის სიტყვები. მათ ურყევად სწამდათ, რომ მოსკოვი არ დაეცემოდა, რომ მტერი განადგურებული იქნებოდა, რადგან დედაქალაქს სტალინი იცავდა.

ასეც მოხდა!

დევგმირი საბჭოთა მეომრები უმაგალითო თავდადებით იცავდნენ მოსკოვს, უდიდეს ზარალს აყენებდნენ ფაშისტური ჯარების ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ამ დროს სტალინი, მტრისათვის შეუმჩნევლად, მოსკოვის მიდამო-

ებში თავს უყრიდა საბჭოთა დივიზიებს. გადამწყვეტ მომენტში, სტალინის ხელმძღვანელობით, ჩვენმა ჯარებმა მტერს რამდენიმე მიმართულებით დაარტყეს და მოსპეს იგი. ამით სამუდამოდ გაქარწყლდა მითი გერმანიის არმიის „უძლეველობის“ შესახებ.

მეორე უდიდესი დამარცხება ფაშისტურმა არმიამ სტალინგრადთან განიცადა. გერმანიამ მოაგროვა როგორც თავისი, ისე თავის მოკავშირეთა უკანასკნელი რეზერვები და სტალინგრადისკენ გაიჭრა. გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებში ჩვენმა სახელოვანმა მეომრებმა, სამშობლოს თავდადებულმა პატრიოტებმა, დაიცვეს სტალინგრადი, ხოლო როცა ხელსაყრელი პირობები შეიქნა, სტალინმა დროულად და დიდი რაოდენობით დაგროვილი რეზერვებით მტერს გამანადგურებლად დაარტყა, გარემოცვის რკალში მოაქცია ფელდმარშალ პაულიუსის 330 ათასიანი არმია, და შემდეგ მოახდინა მისი სრული ლიკვიდაცია.

გავიხსენოთ ცნობილი კინოსურათი „ფიცის“ ერთ-ერთი შესანიშნავი ადგილი:

სტალინის კაბინეტში მაგიდის გარშემო სხედან სტალინი, როკოსოვსკი, ვორონოვი და ვასილევსკი. მიმდინარეობს თათბირი სტალინგრადის ფრონტზე წარმოებულ საბრძოლო ოპერაციების შესახებ.

— დონის ფრონტის ჯარები ქალაქს მიადგნენ, — მოახსენებს სტალინს ვორონოვი.

— მაშასადამე, დღეს დონის ფრონტი და სტალინგრადის ფრონტი ერთმანეთს შეხვდებიან?—კითხულობს სტალინი.

— აუცილებლად. — უპასუხებს ვორონოვი.

— დიახ, სტალინგრადმა გააკეთა თავისი საქმე,—ამბობს სტალინი.—ჩვენი მებრძოლები უჭკნობი დიდებით შეიმოსნენ... ფაშისტი არამზადები ფოლადის ხაფანგში მოემწყვდნენ. რასა იქს ჰიტლერელი სტრატეგის მანშტეინის სატანკო არმია? ჯერ ისევ ცდილობს გაარღვიოს რკალი?

— დიახ, იოსებ ბესარიონის-ძევ, ცდილობს. — უპასუხებს ვორონოვი.

— არ ზოგავენ თავიანთ ადამიანებს... გააძლიერეთ დაწოლა და გააკეთეთ ნახტომი ტრუბალისაკენ! — რუკაზე მითითებით ლაპარაკობს სტალინი. — იქ მოუღეთ მათ ბოლო. ომის თავდაცვითი პერიოდი დამთავრდა, ამიერიდან ჩვენ ვუტევთ.

ასე შემოაბრუნა სტალინის სიბრძნემ სამამულო ომის მსვლელობა ჩვენი ქვეყნის ჩვენი ხალხების სასარგებლოდ.

მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ სტალინგრადთან საბჭოთა არმიის გამარჯვება იყო ომების ისტორიაში ყველაზე დიდი გამარჯვება. სტალინგრადისათვის ბრძოლა სამხედრო ხელოვნების გვირგვინია. ეს იყო სტალინური სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის, გენიალური გეგმისა და წინასწარხედვის ზეიმი.

„სტალინგრადი გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება იყო. სტალინგრადში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ გერმანელებმა, როგორც ცნობილია, ვეღარ შესძლეს წელში გამართულიყვნენ“,—ასე შეაფასა უმაღლესმა მთავარსარდალმა ამხანაგმა სტალინმა სტალინგრადთან ჩვენი გამარჯვების მნიშვნელობა.

სტალინგრადს მოჰყვა დიდი ბრძოლა კურსკთან. ეს იყო გერმანელების უკანასკნელი ცდა განეხორციელებინათ დიდი შეტევა. გერმანელთა სამხედრო გეგმას დაუპირისპირდა სტალინის მიერ შემუშავებული კონტრდარტყმის სტრატეგიული გეგმა და კურსკთან ბრძოლაც ფაშისტების სასტიკი დამარცხებით დამთავრდა.

„თუ სტალინგრადთან ბრძოლა გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენებას მოასწავებდა, კურსკთან ბრძოლამ იგი კატასტროფის წინაშე დააყენა“. —სტალინის ეს სიტყვები უზუსტესად განსაზღვრავენ გერმანელთა მაშინდელ მდგომარეობას.

დიდმა სტალინმა თანამედროვე ომის მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნა და გადაახალისა საბჭოთა არმია, აღუზარდა ომის წარმოების სტალინურ ხელოვნებას ბრწყინვალედ დაუფლებული ოფიცრები, გენერლები, ადმირალები, მარშლები.

და, აი, აღსრულდა ბელადის წინასწარმეტყველური სიტყვები, რომ „შორს არ არის ის დღე, როდესაც მტერი გაიგებს წითელი არმიის ახალ დარტყმათა ძალას. ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული!“

ფრონტზე და ზურგში სამშობლოს დიდებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი საბჭოთა ადამიანები იბრძოდნენ და შრომობდნენ შეძახილებით:

— სამშობლოსათვის! სტალინისათვის!

საბჭოთა არმია გამანადგურებლად ურტყამდა მტერს. ჩვენს გამარჯვებებზე რადიოტალღები მთელ მსოფლიოს აუწყებდნენ უმაღლესი მთავარსარდლის—დიდი სტალინის ბრძანებებს. განუწყვეტლივ ქუხდა მოსკოვის სალუტები. 1944 წელს ჩვენი ქვეყანა მთლიანად განთავისუფლდა დამპყრობთაგან. ომის ცეცხლი დაინთო მტრის ტერიტორიაზე.

მოსკოვი, სტალინგრადი, სევასტოპოლი, ოდესა, კავკასიის მისადგომები, კურსკი, კორსუნ-შევჩენკოვო, იასი-კიშინიოვი, ლენინგრადი, ბელორუსია, ბუდაპეშტი, ვენა, აღმოსავლეთი პრუსია და, ბოლოს, ბერლინი! აი, ქალაქები და პლაცდარმები, სადაც გიგანტურ ბრძოლებში მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოვლინდა სტალინური სამხედრო ხელოვნება, რომელმაც დასჯაბნა გერმანიის არმიის გენერალური შტაბის ხელოვნება.

სტალინური სამხედრო სტრატეგია — ეს ახალი გენიალური სიტყვაა საერთოდ სამხედრო სტრატეგიაში.

დიდმა სტალინმა, მისმა არმიამ სამამულო ომში იხსნა არა მარტო საბჭოთა ქვეყანა, არამედ აგრეთვე იხსნა ევროპის ცივილიზაცია, ევროპის ქვეყნები.

„იუგოსლავიის ხალხები,—სთქვა მარშალმა ტიტომ,—უღრმეს ძმურ მადლობას უხდიან წითელ არმიასა და საბჭოთა კავშირის ხალხს ყველა იმ დიდი მსხვერპლისა და ღონისძიებისათვის, რაც მან გაიღო კაცობრიობის უკეთესი მომავლის გადასარჩენად“. ჩეხოსლოვაკიის საკანონმდებლო კრების თავმჯდომარემ დავიდმა განაცხადა: „სტალინისა და წითელი არმიის დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ ჰიტლერის მიერ დამონებულმა ხალხებმა, მათ შორის ჩვენ, შესძლეს კვლავ მოეპოვებინათ თავისუფლება და დამოუკიდებლობა“. პოლონეთის თავდაცვის მინისტრი მარშალი როლია-ჟიმერსკი თავის ბრძანებაში პოლონეთის არმიისადმი წერდა: „... წითელმა არმიამ მოგვიტანა გამარჯვება ჩვენ, ჩვენს ძმებსა და დებს... მან ჩვენი ხალხი იხსნა დაღუპვისაგან“. რუმინეთის სამიწათმოქმედო ფრონტის მდივანი მირონ ბელია, მიმართავდა რა რუმინელი გლეხობის პირველ ყრილობას, ამბობდა: „ჩვენ არ გვავიწყდება და არასდროს არ დავივიწყებთ, რომ ჩვენ ყველაფერში უნდა ვუმადლოდეთ დიადსა და მძლავრ წითელ არმიას, მსოფლიოში ყველაზე ძლიერ და ორგანიზებულ არმიას“.

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვებით სსრ კავშირმა საპატიო ადგილი დაიკავა მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა შორის. და ეს გამარჯვება გამოჭედილია დიდი ბელადისა და მხედართმთავრის სტალინის მიერ.

ლ. ხოდორიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დღიური. 1945 წლის აპრილი-მაისი)

9 აპრილი. მზიანი დილაა. გაზაფხულის წყნარი სიო ღრუბლებს დასავლეთისაკენ მიერეკება. ველზე ვიწრო გზატკეცილი მიიკლაკნება და ნანგრევებად ქცეულ ქალაქ კიუსტრინში შედის... გზატკეცილის ორივე მხარეს, რამდენიმე კილომეტრზე, მდინარეების ოდერისა და ვარტას დაჭაობიანებულ ნაპირებზე, ჭაობების წყალი ლივლივებს...

ქალაქის მახლობლად ოდერი სამ ტოტად გაბნეულა და ორი დიდი კუნძული წარმოუქმნია. ერთ-ერთ მათგანზე ძველი სიმაგრეა. ისიც ნანგრევებად აქციეს ჩვენმა მეომრებმა. ყველგან სისხლისმღვრელი ბრძოლების ნაკვალევი ჩანს.

ქალაქამდე რამდენიმე წუთის სავალია... განვლეთ ჩვენი მამაცი მესანგრეების მიერ ახლად აგებული ხიდი... აი, კიუსტრინის გარეუბანი კიცი... ოდერის მარცხენა ნაპირის გასწვრივ საბჭოთა ჯარების ურიცხვი ძალებია შეკრებილი... აქ არის მათი მთავარი პლაცდარმი.

11 აპრილი. კიუსტრინიდან 18 კილომეტრზე დასავლეთით ზეელოვის მაღლობები დაჰყურებენ ტრიალ მინდორს. მაღლობებზე გერმანელები ჩასაფრებულან და უთვალთვალებენ მათ წინ გაშლილ მინდორს, ჩვენი ჯარების ყოველ მოქმედებას.

საბჭოთა ჯარები ლახვარჩამცემ დარტყმას უმზადებენ ფაშისტ მტარვალებს, გადამწყვეტი ბრძოლებისათვის საბჭოთა არმიის ნაწილების სამზადისი ბოლოს უახლოვდება.

16 აპრილი. ჯერ კიდევ სიბნელითაა მოცული მიდამო. სრული ოთხი საათია მოსკოვის დროით. მთელს ფრონტზე გაისმა ქვემეხთა დამაყრუებელი გუგუნი. საბჭოთა არტილერიამ ამცნო ქვეყანას არნახული გადამწყვეტი შეტევის დაწყება; არტილერიის გუგუნს სატანკო შეტევა მოჰყვა. მტრის პოზიციები უზარმაზარმა ხანძარმა მოიცვა. 4.000-ზე მეტი ტანკით, 22.000 ქვემეხითა და ნაღმმტყორცნით, 5.000-დე თვითმფრინავით დაიძრა პირველი ბელორუსიის ფრონტის ჯარები ბერლინისაკენ. შეუპოვრად მიიწევდნენ წინ, რათა დიდი სტალინის ბრძანების თანახმად, უმოკლეს დროში დაემთავრებიათ გერმანელ ფაშისტების არმიის განადგურების საქმე.

17 აპრილი. ფრონტის ერთ უბანზე გამოჩნდა მოიერიშე საბჭოთა თვითმფრინავების ჯგუფი, ერთ-ერთი თვითმფრინავიდან უცებ პარაშუტი ჩამოეშვა რაღაც ნივთით. როცა პარაშუტის დაცემის ადგილზე ჩვენი ქვეითები მივიდნენ, მიწაზე ნახეს ლითონის დიდი გასაღები წარწერით: „1760—1945“, ზედვე მომართვა იყო მიკრული:

„გვარდიელებო-მეგობრებო, წინ გამარჯვებისაკენ! გიგზავნით ბერლინის კარიბჭის გასაღებს. თქვენთან არიან საბჭოთა კავშირის გმირის—ბელაგონის გვარდიული მფრინავები!“

მოწოდებამ ახალი მძლავრი აღტყინება გამოიწვია მებრძოლებში. უფრო მედგრად ეკვეთენ მტერს. სულთმობრძავი მტერი არ სცხრებოდა, მაგრამ უშედეგოდ.

18 აპრილი. სამი დღე-ღამეა ბრძოლა არ შენელებულა. მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს ჩვენს ჯარებს.

19 აპრილი. საბჭოთა მეომრებმა იერიშით აიღეს ზეელოვი და დაეპატრონენ მის მაღლობებს. აქედან ბერლინამდე ვაკე ადგილია და ჩვენმა ჯარებმა უმალვე წინ გასწიეს... საბჭოთა არტილერისტებმა გამანადგურებელი ცეცხლი გაუჩაღეს ქალაქ ბერლინს.

20 აპრილი. უფრო რთულ პირობებში მოუხდათ ბრძოლა ჩვენს ჯარებს კიუსტრინის სამხრეთ-დასავლეთით. აქ, მთლიანად ღია ადგილზე, საბჭოთა მთავარსარდლობამ უჩვეულო მეთოდი გამოიყენა: ნაშუაღამევის სრულ 4 საათზე, მოსკოვის დროით, თავდაცვის ხაზი საბჭოთა ორასმა პროჟექტორმა თვალისმომჭრელი სხივებით გაანათა. მტერს დაეკარგა მხედველობის უნარი და ზუსტი ცეცხლის წარმოების ყოველივე შესაძლებლობა.

21 აპრილი. ბერლინის ირგვლივ ოციოდე თავდაცვითი ხაზის გადალახვის შემდეგ ჩვენი ჯარები ბერლინის გარეუბნებში შეიჭრნენ და სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს მტერთან. სრულ 13 საათზე, მოსკოვის დროით, ოფიცერ რეშეტოვის ბატარეამ, რომლის ქვემეხები სტალინგრადს იცავდნენ, გამანადგურებელი საარტილერიო ცეცხლი დაუშინა ქალაქის ცენტრს —რაიხსტაგს.

22 აპრილი. ბერლინისათვის ბრძოლა სულ უფროდაუფრო გააფთრებულ ხასიათს ღებულობს. ბრძოლა წარმოებს თითოეულ ქუჩისათვის, სახლისათვის, სართულისათვის, ოთახისათვის.

26 აპრილი. ერთ-ერთ ჩვენს სათვალთვალო პუნქტზე შეუსვენებლივ მუშაობს რადისტი. ჩვენი ჯარების ახალ-ახალი გამარჯვებების შესახებ რადიოტალღებს სასიხარულო ცნობები მოაქვთ.

ბერლინის გზატკეცილი სავსეა ჩვენი ჯარების მიერ ტყვეობიდან დახსნილი სხვადასხვა ეროვნების ხალხით. აქ არიან ფრანგები, იტალიელები, პოლონელები, ჰოლანდიელები, ბელგიელები, ჩეხები, სლოვაკელები, ამერიკელები, ინგლისელები, იუგოსლაველები, ზანგიცა და რამდენიმე ინდოელი.....

30 აპრილი. ბრძოლა თანდათან ბერლინის ცენტრს უახლოვდება...

რულებენისა და სიმენსშტატის რაიონებში ერთმანეთს შეუერთდნენ ბელორუსიისა და უკრაინის ფრონტების ნაწილები. უკვე რკალი შემოერტყა ბერლინის ცენტრსაც...

გენერალ ჩუიკოვის არმიის მებრძოლებმა მელიტონ ქანთარიამ და მიხეილ ეგოროვმა დიდი გმირობა გამოიჩინეს: რაიხსტაგის შენობაზე წითელი დროშა აღმართეს. იქ ჯერ კიდევ გერმანელები იყვნენ... რაიხსტაგზე მოფრიალე წითელმა დროშამ მეტად აღაფრთოვანა ჩვენი მეომრები...

სრულ 22 საათსა და 55 წუთზე, მოსკოვის დროით, საბჭოთა არმიის ნაწილებმა დაიწყეს შეტევა რაიხსტაგზე.

1 მაისი. სტალინგრადის სახელგანთქმული გმირის, ბელორუსიის ფრონტის № გვარდიული არმიის მეთაურის—გენერალ ჩუიკოვის სათვალთვალო პუნქტზე გერმანელთა წარმომადგენლები მოიყვანეს. მათი სახელით გერმანელი გენერალი აცხადებს, რომ იგი მოვიდა საზავო მოლაპარაკებისათვის. პასუხად საბჭოთა გენერალმა მოითხოვა მთლიანი და უსიტყვო კაპიტულაცია. ამაზე გერმანელებმა უარი განაცხადეს.

ბერლინზე იერიში ჩვენი ჯარების მიერ კვლავ გაგრძელდა.

2 მაისი. გერმანელები ისევ მოვიდნენ მოსალაპარაკებლად. მტრის სარდლობა უკვე თანახმაა იარაღი დაჰყაროს.

სრულ 15 საათზე, მოსკოვის დროით, გერმანელები იარაღს ჰყრიან და ტყვედ ნებდებიან ჩვენებს.

აქა-იქ ჯერ კიდევ გაისმის კანტიკუნტად შაშხანების სროლა... მალე ისიც შეწყდა... ბერლინი მთლიანად საბჭოთა ჯარების ხელშია. ყველა საზეიმო განწყობილებაშია. რაიხსტაგის მახლობლად ყიჟინამ იგრიალა. ეს გამარჯვების „ვაშას“ ერთიანი ძახილია...

ბრანდენბურგის კარიბჭის გავლით, ბერლინის მთავარ პროსპექტზე უსიტყვოდ მიდიოდნენ გერმანელ ჯარისკაცთა ურიცხვ ტყვეთა რიგები. მათზე მაისის ნაზი სიო არხევდა თეთრ ბაირაღებს, ჰიტლერელების მთლიანი და უსიტყვო კაპიტულაციის ნიშანს.

8 მაისი. ბერლინის გარეუბანი კარლსჰორსტი... მტერმა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს მოაწერა ხელი, რასაც მოუთმენლად ელოდნენ საბჭოთა კავშირის ხალხები 1.417 მოუსვენარი დღისა და უძილო ღამის განმავლობაში.

ნიკოლოზ ჯაში

ლიდია მეგრელიძე

მაისის დილა

გულს ამღერებს ამ მაისის ელვარება,
მოფუსფუსე ნიავ-ქარი ამ დილის...
სილამაზევ, ისევ დგახარ ჩემს კარებთან
გაზაფხულის მოოქროვილ მანდილით.

ქართულ მიწის სიხარული მომაქვს კალთით,
მომაქვს გულით სიხარული ჩემი ხალხის...
სილამაზევ, შენს წინაშე კრძალვით თავს ვხრი:
მე სამშობლო მეხატება შენი სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ისწავლოს, იბეჭითოს

ფანჯარასთან ზის ყმაწვილი,
ზის, ჩასცქერის წიგნის პწკარებს.
ძალზე ცხელა, იქვე ხევში
ცივი წყარო მოწანწკარებს,
ხეზე მღერის მოლაღური:
„ბიჭო გოგი, გამო გარეთ!“

ხე შრიალებს ფანჯარასთან,
მის ფესვებთან წყარო მღერის,
ცხრათვალა მზეც უალერსებს:
„ადექ ბიჭო, ჰერი, ჰერი!“

ზის ყმაწვილი, მათ არ უსმენს,
ჩაჰკირკიტებს წიგნის ფურცლებს,
გამოცდებზე მიელიან,
მღელვარებით გული უცემს.

სად სცალია!.. წიგნს კითხულობს,
დააცადეთ, იბეჭითოს,
ნავარდის და თამაშის დრო
უკეთესად იცის თვითონ!
ჯერ ბეჭითობს, მეცადინობს
და როს სწავლით გაგვახარებს,
როს დიდი ხნით დახურავენ,
საყვარელი სკოლის კარებს, —
აიკიდებს მგზავრის ჩანთას,
მესხეთისკენ გასწევს მარდად,
რუსთაველის დედა მხარე
წიგნებიდან შეუყვარდა.
იქ ახალმა საქართველომ,
ძველ ფესვებზე გაიხარა,
ნახავს რუსთავს, თმოგვის ციხეს,
ვარძიასთან გაშლის კარავს...
დააცადეთ, ხელს ნუ უშლით,
ჯერ ისწავლოს, იბეჭითოს,
თამაშის და მგზავრობის დრო
უკეთესად იცის თვითონ!

გიორგი შაგბერაშვილი

ვლადიმერ სულაბერიძე

ნახატები პ. გიგოლაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილი ამბავი

მოთხრობა

იმ დღეს თორმეტი წელი შეუსრულდა ვანიუშას. ყოველთვის მისი დაბადების დღეს ბაბუა და ბებია შუბლზე აკოცებდნენ ხოლმე, მიულოცავდნენ. მეზობლები რომ შემოხვდებოდნენ, ისინიც დალოცავდნენ: დიდი ბიჭი გაიზარდე, დედ-მამის სასახელო ბიჭიო.

მაგრამ იმ დღეს თითქოს ყველას დაავიწყდა ვანიუშას დაბადების დღე. არავის მიულოცავს მისთვის, არავის უსურვებია რამე.

დედას მაინც რაღა მოუვიდა?!. ის ხომ ვანიუშას დაბადების დღეს დილით ყველაზე ადრე წამოდგებოდა ხოლმე და მძინარე შვილს პირველი აკოცებდა, პირველი მიულოცავდა: „დიდი ბიჭი გამეზარდე, შვილო, სოფლის თვალისჩინი ყოფილიყავ!“

მთელი დღე დარბოდა ბიჭი: არც ბაბუას გაახსენდა, არც ბებიას, არც საყვარელ დედას... ყველა ომის მძვინვარე ცეცხლს შეეშფოთებია, ყველას ფიქრი ქვეყნის გადარჩენის საქმეს დატრიალებდა. ამას ვანიუშაც გრძნობდა. იგი ხშირად კითხულობდა ფრონტიდან გამოგზავნილ მამის წერილებს...

მამა ყოველ წერილში ამხნევებდა ცოლსა და შვილს:—მართალია მტერი გვიტევს, მაგრამ ნუ შეშინდებით, ჩვენს სოფლამდე მტერს არ მოვუშვებთო. ვანიუშას სჯეროდა მამის წერილების და ვერ წარმოედგინა, თუ მტერი ისეთი ვერაგი აღმოჩნდებოდა, რომ დღეს ან ხვალ მათ სოფელშიც შეიჭრებოდა.

საღამო ხანს რაღაც ყრუ გუგუნი გაისმა. მიწა ირყეოდა, სახლის კედლები შეტოკდნენ.

როცა შეღამდა, დედამ ხელი ჩაჰკიდა ვანიუშას და სახლის სარდაფში ჩაიყვანა. იქ კიდევ უფრო გარკვევით იგრძნო ვანიუშამ მიწის რყევა, შორი გუგუნი.

ერთხელ კი შეეკითხა დედას რა მოხდაო. მაგრამ დედამ არაფერიო, უპასუხა, და მის თბილ მკერდზე მიხუტებულს ნაშუაღამევს ჩასძინებოდა კიდეც.

* * *

დილით თითქოს ყველაფერი დაწყნარდა. ვანიუშას დედა მარიამი ამოვიდა სარდაფიდან. ოთახის ფანჯრიდან ჯერ ფრთხილად გახედა სოფელს, მერე ეზოში გავიდა.

სოფელი სდუმდა.

დედა ბოსელში შევიდა. ძროხა ბაგაზე იწვა და მუცელთან თეთრშუბლა ბოჩოლა მიკვროდა. ვანიუშამ შეამჩნია, როგორ დაუმშვიდდა დედას ოდნავად შეშფოთებული სახე.

უცებ ბოსლის ერთი კუთხიდან ვიღაც კაცი წამოიმართა, წითელარმიელის ფორმა ეცვა.

— ჩემო დაო,—ჩახლეჩილი ხმით მიმართა მან მარიამს.

ქალი შეკრთა და უცნობისკენ მიიხედა. ვანიუშა გვერდზე აეკრა დედას.

— ჩემო დაო,—გაიმეორა უცნობმა,—ნუ გეშინია, წითელარმიელები ვართ, წუხელ აქ შევაფარეთ თავი. ერთი დაჭრილი მეგობარი მყავს, ვერ მივატოვე, იქნებ მომეხმაროთ.

თივა შეირხა და ვიღაცამ მძიმედ ამოიკვნესა. იგი დაჭრილი წითელარმიელი იყო. გაოცებული მარიამი გონს მოვიდა. საჩქაროდ ბოსლიდან გავიდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ ბოსელში გაჩნდა. დაჭრილს პერანგის ნახევებით შეხვეული ჭრილობა შეუხსნა, მოჭბანა და სუფთა ნაჭრებით შეუხვია.

ძროხა მოწველა. რძე და პური მიუტანა მეომრებს.

წითელარმიელი ამბობდა:

— დიდძალი თვითმფრინავებით და ტანკებით შემოგვიტიეს. ჩვენ უკან დავიხიეთ. სამი დღეა ტყე-ტყე მომყავს ჩემი დაჭრილი მეგობარი. ვერ მივატოვე. წუხელ ფრონტის ხაზი ამ უბანსაც გაშორდა. გადავწყვიტე ამ სოფელში დავრჩენილიყავი. ჩვენებია, მიგვიღებენ-თქო. შეიძლება ზურგიდანაც ებრძოლო მტერს.

ვანიუშამ კარგად დაინახა, უცნობი ძიას ლაპარაკის დროს დედას როგორ გადმოუგორდა თვალებიდან ცრემლის კურცხალი.

როცა შეღამდა, ის ორი წითელარმიელი ვანიუშას სახლის სხვენზე ავიდა. მალე მარიამმა თივა გაუშალა მათ და ქვემსაგებიც აუტანა.

* * *

გავიდა ერთი კვირა.

ჯერ უცხო ვინმე არავინ შემოსულიყო სოფელში, მაგრამ ვანიუშა ამჩნევდა, თით-

დედამ დაარიგა, შორს არ წახვიდეო.

ქოს ყველაფერი შეიცვალა: წინანდებურად ღარ ისმოდა სოფლელების ჟრიამული.

მეორე დღეს დილით ვანიუშამ თავისი ძროხა და ბოჩოლა საბალახოდ გადენა. დედამ დაარიგა, შორს არ წახვიდეო. ვანიუშას სოფელს დიდი ტყე ეკრა ირგვლივ. ერთ კილომეტრზე შარა გზა ჩაუდიოდა. იმ შარა გზასთან პატარა მინდორი იყო. აი, იქ შეჩერდა ვანიუშა, ძროხა და ხბო მინდორზე გაუშვა, თვითონ კი სოკოების საკრეფად ტყეში შევიდა.

ცოტა ხნის მერე გზაზე ავტომანქანების გუგუნი გაისმა. ორი ავტომანქანა მინდორთან შეჩერდა.

ერთი თოფიანი კაცი მანქანიდან გადმოხტა, თოფი მოიმარჯვა და ...

ბუხ! — იქუხა თოფმა.

ვანიუშამ თვალი მოატანა, მისი საყვარელი ძროხა მუხლებში როგორ ჩაიკეცა და დაეცა. მიირბინა შემკრთალმა: ძროხას შუბლიდან სისხლი მოსჩქეფდა და თვალები შემზარავად გადმოეკარკლა.

ამ დროს მანქანიდან რამდენიმე კაცი ჩამოხტა და ძროხას შემოესიენ.

გაოცდა ბავშვი: ასეთი ხალხი ჯერ არ ენახა. უცნაური ფორმა ეცვათ და უცნაურ ენაზე ყაყანებდნენ. ვანიუშას რაღაცას ეუბნებოდნენ, მაგრამ ვანიუშა ვერაფერს გებულობდა.

უცხო კაცებმა ძროხას ხელები ჩაავლეს და მანქანისაკენ წაათრიეს.

შეშინდა ბავშვი. ერთი შეჰყვირა და სოფლისაკენ გაქანდა.

გულამოსკვნილი შეიჭრა ეზოში ვანიუშა, დედას მივარდა, მკერდზე მიეკრა და ატირებულმა ძლივს ამოსთქვა:

— ძროხა მოგვიკლეს, დედიკო, უცხო კაცებმა მოგვიკლეს!

მიხვდა დედა, ვინც იყვნენ ეს „უცხოები", მაგრამ ისედაც შეშინებულ შვილს არაფერი აგრძნობინა.

ასე გაიცნო ვანიუშამ პირველად გერმანელები, ჩვენი მტრები. ასე იგრძნო მან პირველად ომის სიმწვავე.

ეს იყო 1941 წელს.

* * *

დაჭრილი ძია მორჩა. ერთხელ ის და მისი მეგობარი პეტრო სადღაც გაქრნენ. ხანდახან შუაღამისას შემოვიდოდნენ, რამდენიმე წუთს მარიამს ესაუბრებოდნენ და ისევ გაუჩინარდებოდნენ.

სოფელში გერმანელები თარეშობდნენ.



ერთ დღეს დედამ ხელი ჩაჰკიდა ვანიუშას, ტყეში შეიყვანა და ბილიკ-ბილიკ ბევრი იარეს. ბოლოს მივიდნენ ერთ დაბურულ ადგილას. იქ ძია პეტრო და რამდენიმე იარაღასხმული კაცი დახვდათ. დედამ საჭმელი გადასცა ძია პეტროს, რამდენიმე ხანს ისაუბრეს. მერე დედა-შვილი ისევე სოფელში დაბრუნდნენ.

ერთხელ ვანიუშამ დაინახა: ათიოდე გერმანელი თოფებით სოფლიდან ტყისაკენ წავიდნენ, სწორედ იქით, სადაც ძია პეტრო და მისი ამხანაგები იყვნენ.

ვანიუშამ გაიფიქრა: იქნება ძია პეტროს დასაჭერად მიდიანო. შეუმჩნევლად შევიდა ტყეში და სირბილით გაჰყვა ნაცნობ ბილიკებს. ნახა პეტრო და ყოველივე უამბო.

პეტრომ შუბლზე აკოცა ბიჭუნას.

— ყოჩაღ, ვანიუშა, რომ ასე ფიქრობ ჩვენზე. ახლა წადი, ფრთხილად იარე, არავინ შეგამჩნიოს, არსად არ წამოგცდეს, რომ ჩვენ აქა ვართ.

როგორ თუ წამოსცდეს?! განა, ისე გულუბრყვილო ბავშვია ვანიუშა?! უკვე კარგად იცის მან მტერ-მოყვრის გარჩევა.

— არა, ძია პეტრო, ნუ გეშინია, როგორ თუ წამომცდეს!

ცხენოსანმა წითელარმიელმა ჭიშკართან ცხენი შეაჩერა და ვანიუშას პაკეტი გადასცა.

ფრთები შეისხა ვანიუშამ და ისე დაბრუნდა სოფელში.

ბიჭუნა სოფელში თავისუფლად დადიოდა, თვალ-ყურს ადევნებდა გერმანელების მოქმედებას და მათ შესახებ ცნობებს ძია პეტროს აწვდიდა.

ვანიუშამ მალე პარტიზანებში ყოჩაღი მზვერავის სახელი გაითქვა.

* * *

ხანი გავიდა.

საბჭოთა ჯარები გერმანელებს უტევდნენ. დამარცხებული მტერი უკან გარბოდა.

ერთ დღეს გერმანელებმა ვანიუშას სოფელშიც გუდა-ნაბადი აიკრეს, მაგრამ არც ერთი გერმანელი ცოცხალი არ გასულა სოფლიდან: ძია პეტროს რაზმმა სულ ერთიანად ამოწყვიტა.

გულზე მოეშვა ვანიუშას.

სოფელში ყველას სახე უცინოდა, რაღაც სასიხარულოს მოელოდა ყველა. და, აი, დადგა სანატრელი დღეც:

ძია პეტროს რაზმი, წითელი არმიის ნაწილებთან ერთად, მჭუხარე სიმღერით შემოვიდა სოფელში.

* * *

ერთი კვირის შემდეგ 14 წელი შეუსრულდა ვანიუშას.

ფრონტის ხაზი უკვე შორს იყო.

ახლა არავის დავიწყებია ვანიუშა. მეზობლები და ტოლ-ამხანაგები მოდიოდნენ და ულოცავდნენ მამაც ბიჭუნას დაბადების დღეს.

საღამო ხანს გზად მიმავალმა ცხენოსანმა წითელარმიელმა ჭიშკართან ცხენი შეაჩერა და ვანიუშას პაკეტი გადასცა. მოულოდნელობისაგან აღელვებულმა ბიჭუნამ სასწრაფოდ გახსნა პაკეტი. მამის წერილი იყო. მამა დაბადების დღეს ულოცავდა შვილს.

ვანიუშას აღტაცებამ და ქმრის წერილმა მარიამი ძლიერ გაახარა. სიყვარულით შუბლზე აკოცა ვანიუშას და უთხრა:

— სასახელოდ დამივაჟკაცდი, შვილო, სოფლის თვალისჩინი ყოფილიყავ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედაქალაქი თბილისი

მხრებს შლის, გუგუნებს თბილისი —
სიბრძნის კერა და მშობელი,
ყურს უგდებს ყველა ქართული
ქალაქი, დაბა, სოფელი.

სამშობლოს მთა-ბარს ჰფენია
მისი ელვარე ნათელი,
მის გაბრწყინებულ ხეივნებს
შეჰხარის ყველა ქართველი.

ბევრის მომსწრე და მთხრობელი,
კვლავ ჭაბუკივით იცინის,
ახარებს ჩვენი სიმღერა,
ჩვენი თვალების ციმციმი.

ბევრი აღზრდილა, გაშლილა
მის ჭერქვეშ, ფართო კალთაში,
ჩაჰკონებია მის თბილ მკერდს,
ცხოვრების წიგნად გადაშლილს.

ქვას ენას უდგამს, სხივს აძლევს,
ფრთებს ასხამს ადამიანებს;
სამშობლოს თვალის სინათლე
ჩვენც მალე დაგვაფრთიანებს.

გუგუნებს დედაქალაქი —
თბილისი, ბევრის მნახველი;
შორს ისმის მისი სიმღერა,
მისი ლამაზი სახელი.

გიორგი ქაჯახიძე

წიგნი ბელადის ყრმობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გელაძიანთ უბანში ხმა გავარდა: ბესო ჯუღაშვილი გიორგის ქალს თხოულობსო.

— მერე რა უჭირს, გეთაყვა? ბიჭად ბიჭი კარგია და ხელობაც კარგი აქვს. მე შენ გითხრა, პურ-მარილი და მეგობრობა არ იცის!— ამბობდნენ უბანში“.

ასე იწყებს ქეთევან ელისაბედაშვილი თავის მოთხრობაში — „ყრმობა“ ბესარიონ ჯუღაშვილისა და ეკატერინე გელაძის შეუღლების ამბავს. მუყაითი ხელოსანს ბესო ჯუღაშვილს ქაშანურის ჭურჭლის ოსტატის პატიოსანი და შრომისმოყვარე ქალი შეხვდა ცოლად. ქალს მცირე მზითვი მოჰყვა, მაგრამ ბესომ ამაზეც მადლობა უთხრა სიმამრს:

— ყველაფერს იოლად მოვუვლი თავს, ოღონდ კეკე ჩემს გვერდში ტრიალებდესო.

მალე „ზამთრის ერთ-ერთ თოვლიან ღამეს, როდესაც მთელი ქალაქი თეთრი საბნით იყო დაფარული, ჯუღაანთ ოჯახს ვაჟი შეეძინა“. გადიოდა დრო, იზრდებოდა პატარა სოსო, სოსო ამხანაგების მოსიყვარულე, გულისხმიერი და გამტანი, სწავლაში ბეჯითი და მოწინავე, წიგნის მოყვარული, უშიშარი ფალავანი, შეუპოვარი, სამართლიანი და ჭკვიანი.

ავტორი სადად და მხატვრულად მოგვითხრობს პატარა სოსოს ცხოვრებიდან მრავალ საგულისხმო ეპიზოდს, გვაცნობს გორში გატარებულ დიდი ბელადის სიყრმის პერიოდს.

ჯერ კიდევ ძლიერ პატარა იყო სოსო, როდესაც ის მძიმე ავად გახდა ყვავილით. მშობლები თავს დატრიალებდნენ ავადმყოფ ბიჭუნას, არაფერს იშურებდნენ მის მოსარჩენად, მეზობლებიც თავს ევლებოდნენ. გადაიტანა პატარა სოსომ ყვავილი, მოიხედა, კვლავინდებურად ატიტინდა და გაერია თავის ტოლ-ამხანაგებში.

ერთხელ სოსო საღამოთი მეზობლიდან სიმღერითა და ასკინკილით ბრუნდებოდა შინ. უცებ შარაზე „შემოეყარა ვეება ფური, რომელიც ზანტად მოაბოტებდა. წითელი ხალათისა და განიერი შარვლის ფრიალით მხტუნავ ბიჭს რომ მოჰკრა თვალი, შედგა, თავი მძიმედ დაკიდა, ბიჭს თვალები მიაშტერა და თავი ურჩად გაიქნია“.

სოსოს ხმა ჩაუწყდა, მაგრამ არ დაიბნა და სწრაფად მესერზე შეხტა. იქიდან ისე დასჭყივლა, რომ დაფეთებული პირუტყვი ოთხით თავქვე დაეშვა.

„სოსო კისკისით ჩამოხტა მესერიდან და სიმღერით განაგრძო გზა“.

„სოსო—ცელქი, მოუსვენარი და მოძრავი ბავშვი, სწრაფად დინჯი და დაფიქრებული გახდებოდა ხოლმე“, — ამბობს ავტორი, და მოგვითხრობს, თუ როგორი ძლიერი, დამაფიქრებელი შთაბეჭდილება მოახდინა სოსოზე ამირანის ამბავმა, რომელიც ბავშვებს ქალაქიდან ჩასულმა ერთმა უცხო კაცმა უამბო ლექსად. ეს ლექსი სოსომ ზეპირად ისწავლა და „ბეორე დღეს ტოლებთან ხელგადაჭდობილი კარმიდამოებს უვლიდა და მათთან ერთად წკრიალა ხმით მღეროდა: „კავკასიის ქედზე იყო...“

ასევე დამაფიქრებლად იმოქმედა სოსოზე მოხუც ბრმა მეფანდურესთან შეხვედრამ. გზადმიმავალი მეფანდურე ერთი მეზობლის ეზოში კაკლის ქვეშ დამჯდარიყო და მის ირგვლივ პატარა ბიჭებს თავი მოეყარათ. სოსომაც მიირბინა მათთან სათამაშო ურიკათი ხელში.

„— ეს ვიღა გვესტუმრა? — იკითხა მეფანდურემ, როცა ბავშვებში სოსოს ჩარევა იგრძნო. გამხდარი ხელი წინ გაიშვირა და სოსოს მოულოდნელად ზედ თავზე დაადო, მერე თმაზე გადაუსვა და დააყოლა:

— გაიზარდე, გაიზარდე დიდი კაცი!

— ეს ჩვენი ამხანაგია, შეხედე, პაპა, რა კარგი ურემი გაუკეთებია! — წამოიძახა კოლამ და ამხანაგებს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა.

— დააყე ენა, თორემა...—უთხრა მკვახედ ამხანაგს სოსომ და ისე გადახედა, რომ ბიჭს თვითონაც არ დაუჯდა ჭკუაში თავისი საქციელი.

სოსოს ძალიან მოეწონა მოხუცი. მოწონების გარდა, შეეცოდა კიდეც.

— პაპა, სახლი გაქვს?—ჰკითხა მან მოულოდნელად მოხუცს.

— არა, შვილო, სახლი კი არა, ამილახვრიანთ ყმობაში თვალის სინათლეც კი აღარ შემრჩა.

—რატომა, პაპა, რატომა? — ჩაეკითხა სოსო.

— ეე, რატომა, რატომა და იმიტომ, რომ გლეხები უბედურები ვართ, უბედურები რომ

დ. ვოლკოვის სურათიდან „პატარა სოსო ამხანაგებში“

არ ვყოფილიყავით, ღმერთი უთანასწორობას არ დააწესებდა“.

და მეფანდურემ ბავშვებს უამბო თავისი სევდიანი სიმღერით გლეხკაცის გაჭირვებულ ცხოვრებაზე, შემდეგ კი არსენას სავაჟკაცო შაირები დაურთო. სოსოს ძალიან მოეწონა მეფანდურის სიმღერა, მეტადრე „არსენას ლექსი“, რომელიც მამისაგანაც სმენოდა.

სწავლის დროც მოვიდა, რასაც ასე მოუთმენლად ელოდა პატარა სოსო. მისი პირველი მასწავლებელი კოტე ჩარკვიანი იყო, რომელსაც მკვირცხლი და მიხვედრილი სოსო პირველ დღიდანვე მოეწონა. სოსომ მალე ისწავლა წერა-კითხვა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია.

ამ ხანებში ბესო ჯუღაშვილი თბილისში გადავიდა სამუშაოდ. მხნე და გამრჯე კეკემ გააათკეცა მუშაობა, რომ სოსოს არაფერი გაჭირვებოდა.

განვლო ცოტა ხანმა და სოსო გორის სასულიერო სასწავლებელში მიიღეს. დედა დახაროდა მის წარმატებით სწავლას.

„კეკე კმაყოფილი შეჰყურებდა შვილს და ფიქრობდა: „შეხედე, რამდენი ხანი გავიდა: თითქოს გუშინ იყო, აკვნის არტახებს რომ ებრძოდა, ანდა რამდენი ხვეწნა დამჭირდა, რომ ბავშვი სკოლაში მომეწყო, მაგრამ რა ვუყოთ, ბოლოკეთილი საქმისათვის გარჯას აღარ ნაღვლობენ“.

სასულიერო სასწავლებელში ამ დროს უფროს კლასში სწავლობდა ლადო კეცხოველი. სოსო ხედავდა, რომ ლადო არასოდეს არ ერეოდა ამხანაგებში და დასვენებისას „მარტოდ-მარტო ღობის გასწვრივ დადიოდა ჩაფიქრებული“. ალბათ, ლადომაც შეამჩნია სოსო, რომელიც ხშირად თამაშის ნაცვლად გადაშლილი წიგნით დადიოდა სკოლის ეზოში, შეამჩნია და გამოელაპარაკა. გაიგო, პატარა ბიჭს წიგნი უყვარსო და დაჰპირდა—მე დაგეხმარები წიგნების შოვნასა და შერჩევაშიო. ძია არსენამ, რომელთანაც ლადომ მიიყვანა სოსო წიგნებისათვის, ასე უთხრა პატარა მწიგნობარს:

— ასე, ჩემო პატარავ, წიგნი ისეთი რამაა, რომელიც ცხრა მთის იქით გაგიჩენს მეგობარს...

ავტორი შემდეგ მოგვითხრობს სოსოს ერთ თავგანწირულ ქცევას, რაც მას კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

საეკლესიო დღესასწაული ნათლიღება იყო. დარდიმანდი ახალგაზრდები ეტლით მოქროდნენ ხალხით სავსე ქუჩაში. უეცრად „სოსომ დაინახა, რომ გაოფლიანებული ცხენები ქუჩაზე გადამავალი ბავშვისაკენ მიექანებოდნენ“. სოსო მყისვე გაექანა ბავშვის გადასარჩენად და დროზე მიუსწრო კიდევაც, მაგრამ „ამ დროს თვითონ მას დაეჯახნენ ცხენები, მიწაზე დაანარცხეს და ღერძის ქვეშ შეისროლეს“. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა განიცადა კეკემ, როდესაც შინ გონდაკარგული სოსო მიუყვანეს. განსაკუთრებით ამაღელვებელია ამ მოთხრობაში ეს სტრიქონები. თუმცა ვიცით, რომ ყოველივე კეთილად დასრულდა, მაგრამ ვერ ვისვენებთ, სანამ ამბის დასასრულამდე არ ჩავალთ და თვით სოსოს პასუხს არ მოვისმენთ, დედას რომ ეტყვის:

— ნუ გეშინია, დედი, მე კარგად ვარ.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა სოსოზე მეფის მთავრობის მიერ მოტყუებით შეპყრობილი სამი ყაჩაღის პირუტყვებივით გორში ჩამოყვანამ და შემდეგ საჯაროდ ჩამოხრჩობამ, რაც 1892 წლის 13 თებერვალს მოხდა. როდესაც ხალხის თვალწინ „სამი ჯანმრთელი გლეხი თავისი ფეხით მიიყვანეს სიკვდილის ბოძთან და ერთ წამში თოკებით მოჰგუდეს, აკანკალებულ, გალურჯებულ ბიჭებს ზლუქუნი აუტყდათ“, — გვიამბობს ავტორი. ამ ბიჭებში სოსოც იდგა, აცრემლებული და ბრაზმორეული. იმ დღეებში სოსომ ბევრი საერთო დაინახა თავის საყვარელ ალ. ყაზბეგის გმირებსა — ამ უდანაშაულო დამნაშავეთა—და გორში ასე სასტიკად დასჯილ გლეხ-ყაჩაღებს შორის. სოსოს მოაგონდა ყაზბეგის მოთხრობა „მამის მკვლელი“, უდანაშაულო ნუნუ, მამის მკვლელობა რომ ბრალდებოდა; მოაგონდა იაგო და მისი ქმადნაფიცები, რომლებიც მეფის სალდათებთან უთანასწორო ბრძოლაში დაეცნენ; თვალწინ დაუდგა იაგოს ძმადნაფიცი კობა, რომელმაც სამაგიერო გადაუხადა ჯალათებს, და აგზნებულმა პატარა სოსომ წამოიძახა:

— მე მინდა ვიყო კობა!.. კობა ჩემი გმირია! მე მინდა მერქვას კობა!

შემდგომ, მართლაც, სოსო კობას სახელით გამოდიოდა რევოლუციონურ მუშათა წრეებში სამუშაოდ და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სოსოს ძლიერ უყვარდა სიმღერა. ტოლამხანაგებში ყოფნის დროს, მათთან ერთად, ხშირად მღეროდა. სიმღერის წამომწყები ყოველთვის სოსო იყო თავისი წკრიალა დისკანტით. მღეროდნენ „ბერი კაცი ვარ“, „ლაჟვარდ ცაზე“, „მუშური“, „ჩავუხტეთ ბარათაშვილსა“, „შაშვი მგალობელი“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“, „შვიდნი გურჯანელნი“, „ზამთარი“, „კახური მრავალჟამიერი“ და სხვ. ამ სიმღერებით მათ შემოვლილი ჰქონდათ არდადეგებზე ახლომახლო სოფლები. ერთხელ, ასეთი მოგზაურობის დროს, სოსო კვლავ მოწმე გახდა სოციალური უსამართლობისა. გზაზე დიდი ამალითა და დიდის რიხით თავადი გიორგი ამილახვარი მობრძანდებოდა ეტლით. ამ დროს ზემოდან მომავალი გლეხი ახლადნაყიდ წყვილ კამეჩს მოერეკებოდა. კამეჩები ანაზდად გზაში გაეხირნენ და ეტლს გზა გადაუღობეს. ამილახვარმა ეს იწყინა, წამსვე დამბაჩაზე იკრა ხელი და ერთი კამეჩი იქვე გააგორა. მეეტლემ გზა აუქცია კამეჩს და ამილახვარი თავისი ამალით თვალს მიეფარა.

— ვაჰ, დედიჩემის ღმერთსა, უსახლკარო მაინც ვიყო, მაშინ გაჩვენებდი მეც კაცი ვარ თუ არა!—წამოიძახა გამწარებულმა გლეხმა და დაკოჟრებული ხელები გულზე რამდენჯერმე დაიბაგუნა.

ამ სიტყვებმა სოსო მაშინ ძალიან ჩააფიქრა—„რატომ თქვა იმ გლეხმა ასე; განა სახლ-კარი მაჯაზე ეკიდა, რომ ერთი ბარაქიანი ლოდი არ სთხლიშა იმ ამილახვარსო?“

ხშირად განმარტოვდებოდა ხოლმე სოსო ბუნების წიაღში, მოლზე გაწვებოდა, მკერდგადაღეღილი ხელებს თავქვეშ ამოიდებდა, ცას დაუწყებდა ცქერას თავისი ციმციმა თვალებით და ფიქრობდა, ბევრს ფიქრობდა ცხოვრების უკუღმართობაზე.

დასრულდა ყრმობის პერიოდი. სოსომ სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა და თბილისის სემინარიაში შესასვლელად შეემზადა. „შენი გზა ახლა უფრო შორს გაიდო, —უთხრა მას დედამ და დასძინა:—როგორც ჯობდეს, ისე მოიქეცი, საქმეს შენ თვითონ ჩაუდექი თავში, პატარა აღარა ხარ, დიდი ხარ, შვილო, დიდი!—კეკე უცებ წამოდგა, თითქოს ახლა გამოერკვაო, შვილს ზურგიდან მოუარა და ქოჩორი დაუკოცნა“.

სოსო გორიდან წავიდა და მის ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო.

* * *

დიდი ბელადის ყრმობის წლებზე ქართულ ლიტერატურაში ცნობილია რამდენიმე კარგი წიგნი. ასეთი წიგნებია: პეტრე კაპანაძის მოგონებები „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“, დავით კასრაძის „პატარა სოსო“, პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის ეპოპეა — „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“ და პოემა „ბერშოულა“ და სხვ. ამ ნაწარმოებთა რიცხვს ახლა მიემატა ქეთევან ელისაბედაშვილის მოთხრობა „ყრმობა“. ეს წიგნი დაწერილია დიდი სტალინის ბავშვობის პერიოდის ფაქტიური, დოკუმენტალური მასალების მიხედვით.

ყოველმა პიონერმა უნდა წაიკითხოს ეს მოთხრობა, როგორც დიდი ბელადის ყრმობის წლების ამსახველი ნაწარმოები. ეს წიგნი პიონერებს დაეხმარებათ დიდი სტალინის ბიოგრაფიის შესწავლის საქმეში.

შ. გვინჩიძე

4338

ქეთევან ელისაბედაშვილი

ი ქ ნ ე ბ ა ი ს ე, რ ო გ ო რ ც უ ნ დ ა ი ყ ო ს...

(ნაწყვეტი მოთხრობიდან „ყრმობა“)

გაფრინდი, შავო მერცხალო,
გაჰყე ალაზნის პირსაო,
ამბავი ჩამომიტანე
ომში წასული ძმისაო...

ღიღინებდა სოსო ერთ მშვენიერ დღეს და ზურგზე მოგდებული ჩანთა თამაშ-თამაშით მიჰქონდა სახლისაკენ.

— დედი, ხომ არავინ შემოგესია დღესა? — შესძახა მხიარულად შვილმა, როდესაც თავისი სახლის ეზოში შევიდა და აივანზე გამოყრილი ავეჯი დაინახა.

— რა იყო, გენაცვალე, — დაიძახა ბავშვის ხმაზე მოაჯირზე მომდგარმა კეკემ. — გაზაფხულია, ეხლა ჩიტიც კი სუფთა ბუდეს ეძებს, შენ რაღა ჩემი გაგიკვირდა!

— არა, კი არ გამიკვირდა, არ მიყვარს, როცა დასალაგებლად ააფორიაქებ ხოლმე სახლსა.

— მოდი, ვისადილოთ და სადმე წადი, სანამ სახლს დავალაგებდე, — უთხრა კეკემ აივანზე ასულ შვილს, მერე შეტრიალდა, ხელები გადაიბანა და ოთახიდან გამოტანილი მაგიდის კუთხეში სახელდახელოდ სუფრა გაშალა.

— დედი, მოდი, რა გაჩვენო! — დაიძახა სოსომ. ჩანთიდან მოზრდილი პრიალა ქაღალდი ამოაძვრინა. — არა, დედი, ჯერ მითხარი, რა უფრო გაგახარებს ყველაზე ძალიან?

— რა გაახარებს, შვილო, ჩემ ტიალ გულსა შენი კარგის მეტი! შენა ხარ ჩემი ვაჟკაცი და სახლის ბურჯი, აბა, შენ იცი, თუ რამეთი გამახარებ, შენი კარგი ბედითა!

— აბა, დედი, ნახე, რა ნიშნები მოვიტანე. დღეს ნაზუქები მეკუთვნის.

კეკემ ბავშვს ქაღალდი გამოართვა და ორივე მხარეს თვალი გადაავლო. ქაღალდზე რუსულად ეწერა, მან მხოლოდ ხუთიანები წაიკითხა და სახეგაბრწყინებულმა უთხრა შვილს:

— შენი ნიშნებია, გენაცვალე? მართლაც რომ მარტო შენ ხარ ჩემი გულის გამხარებელი! — დედამ შვილი თავისკენ მიიზიდა და ქოჩორი დაუკოცნა.

— დედი, მე ეხლა მესამე კლასში გადავედი! — იცი, რა მითხრა მასწავლებელმა: შემოდგომიდან კარგი სწავლისათვის თვიურად ხუთ მანეთს დაგინიშნავთო.

— კარგი იქნება, შვილო.

— იქნება, დედა, იქნება ისე, როგორც უნდა იყვეს.

იმ დღეს დედა-შვილმა ნებიერი ჟღურტულით გაათავეს სადილი და თავიანთ საქმეს შეუდგნენ.

რაზე ჭიკჭიკებს ჩიტი-ჩიოტრა!

განთიადია, გივის ფანჯარას
ეწვია ერთი ჩიტი პატარა,
კეკლუცად ყელი შემოიღერა
და საამურად იწყო სიმღერა.

გივი ყურს უგდებს სულგანაბული,
მგალობელ ფრინველს უსმენს ნანულიც...
ბაღში ყვავილებს მიეცათ ფერი
უფრო ლამაზი და მშვენიერი.

რაზე ჭიკჭიკებს ჩიტი-ჩიოტრა,
ასე გულთბილად ვის ეფერება?!
— ვინც კარგად სწავლობს,
კარგი სწავლით სურს
დედა-სამშობლოს ბედნიერება!

არნო ონელი

ვ. ველისციხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის წყარო

მთის გულში მომწყვდეულმა წყალმა კლდე გამოანგრია და ხმაურით ქვევით დაეშვა.

— უჰ, დედასა, რა ძალა მქონია, რამოდენა მთა გამოვანგრიე! — წამოიძახა წყارომ, გარემოს თვალი მოავლო და თავმომწონედ ტალღები შეათამაშა.

— ეი, ვინ არის მანდ, რომ ასე ხმამაღლა თავს იქებს! აბა, მომიახლოვდი, მეგობარო! — შემოსძახა ქვევით მიმდინარმა ნაკადულმა.

ამ ხმაზე მთის წყارو შეკრთა და ლიკლიკით ჩაწანწკარდა ნაკადულთან.

— უჰ, რამხელა ყოფილხარ! — მისვლისთანავე სთქვა წყارომ.

ნაკადულმა გამოუცდელი პატარა მეგობარი გულში ჩაიხუტა.

— როგორც გატყობ, შენ ჯერ არაფერი გინახავს ქვეყანაზე. წავიდეთ, ერთად ვიაროთ! — უთხრა ნაკადულმა და ქვევით დაეშვნენ.

გზაში ორი ჩანჩქერი შეუერთდათ. ნაკადულმა ისინიც გააცნო მთის წყაროს. მალე მიადგნენ წყალვარდნის ადგილს, და ოთხივენი ისეთი შხუილით დაეშვნენ ქვევით, რომ პატარა წყაროს შიშით თვალები გაუფართოვდა.

გზა განაგრძეს... წყალვარდნილი ბოლოს მდინარეს შეუერთდა.

— ეს კი ალბათ ყველაზე დიდი და ძლიერი იქნება! — უთხრა წყارომ ნაკადულს, როცა მდინარეში ღრმად შევიდნენ.

— არა, მოითმინე, ჯერ რა გინახავს!

მდინარეს მდინარეები შეუერთდნენ და ყველანი ერთად მხიარული ყიჟინით შეცურდნენ გაშლილ ზღვაში.

აქ უკვე მთის წყაროს გაკვირვებას საზღვარი აღარ ჰქონდა. მაგრამ როდესაც მთის წყارომ ვეებერთელა ოკეანე ნახა, ხმამაღლა წამოიძახა: „თავი რა ადვილად ჩავთვალე ყველაზე ძლიერად... თურმე დიდზე დიდი ყველგან მოიძებნება“.

ოთარ ჭელიძე

ნახატები ს. მაისაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ მეფის საფლავი

.: ლეგენდა :.

პაპას ძველისძველ ამბების
მოყოლა ისე უყვარდა,
რომ ბევრჯერ გასთენებია
ღამე საყვარელ ბუხართან.
ერთ დღეს ჩვეული ალერსით
მოგვიხმო დაღამებისას
და წამოიწყო ამბავი
დიდებულ თამარ მეფისა.

— შვილებო, ჰქუხდა ქართველთა
სამეფო მის დროს განთქმული
და მტრები, როგორც მწერები,
მიწაზე ჰყავდა გართხმული,
დღევანდელივით ამაყად
ისმოდა სიტყვა ქართული.
მის დროს ინება რუსთველის
მზემ ცაზე ამობრწყინება...
რამდენიც გინდათ გიამბოთ,
თამარზე—არ მომწყინდება.

ინდოეთამდე აღწევდა
თამარ მზექალის დიდება,
ტახტზე ოცი წლის ავიდა,
მოხუცებამდე იმეფა, —
გარდაიცვალა... გაძნელდა
მისი საფლავის მიგნება.
როცა სიკვდილის სარეცელს
ესვენა ღონემიხდილი
და როცა გვირგვინს სტაცებდა
დაუნდობელი სიკვდილი,
როცა თავს ვეღარ იღებდა,
როცა ძალ-ღონე წაერთო,
ჩურჩულით უთხრა სპასალარს:
— ორ მოყმეს დაუძახეთო;
მომიყვანეთო მოყმენი,
ჩემი ერთგულნი მარადო,
მაქვს საიდუმლო სათქმელი
და მინდა იმათ გავანდო.
სთქვა და მიმქრალი თვალებით
მშვიდად შეჰხედა სპასალარს:
— მომიყვანეთო საჩქაროდ, —
სიტყვის თქმაც აღარ აცალა.

ჩაფიქრებული გასცილდა
სასახლეს მხედართმთავარი
და ვერ გაეგო, თუ მოყმეთ
რატომ იხმობდა თამარი.
მეფე ქალს, ქართველთ დიდებას,
მკლავებში ღონე წაერთო,
სულს ლევდა გვირგვინოსანი,
გლოვობდა მძლავრი სამეფო;
იფერფლებოდნენ ვარსკვლავნი —
თვალები დედა-ლომისა...

სიკვდილს კი არა ჩიოდა,
სწუხდა უღონოდ რომ იწვა.
ამ დროს გაიღო კარები
დამწუხრებული დარბაზის;
მომაკვდავისკენ დაიძრა
ორი ვაუკაცი ლამაზი.
ნელ-ნელა მოირხეოდნენ
შევარდნებივით სწრაფები.
შვენოდათ შავი ულვაში,
შავი თმა, შავი წარბები.
ძმები არ იყვნენ, ძმებს ჰგავდნენ
ვაჟები მხრებგანიერი,
ლოყაზე ხალი შვენოდათ
და შავგვრემანი იერი.
მიუახლოვდნენ მომაკვდავს
და მოიყარეს მუხლები,
სულთმობრძავ მეფის ბრძანებას
უცდიდნენ დანამწუხრები.
უცდიდნენ მეფის ბრძანებას
დარბაზში დაჩოქილები;
თავს გასწირავდნენ ფიცისთვის
ლაშქარში გამოზრდილები.
და, აი, ღონემიხდილმა
თამარმა მოყმეთ შეჰხედა:
— კეთილ იყოსო ეს ჩვენი
უკანასკნელი შეხვედრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამმარხეთ,—არვინ იცოდეს
ჩემი საფლავი სად არი,
დაე, ვერავინ გაიგოს
სადა მარხია თამარი!
ქალი ვარ, მაგრამ ამ ქვეყნად
მტერი მყავს ეგზომ მრავალი;
ქალი ვარ, მინდა საფლავშიც
შემრჩეს ეს წმინდა ნამუსი,
უსიტყვოდ დამასაფლავეთ
წმინდათაწმინდა მამულში.
არ გინდათ ქვაზე ჩუქურთმა,
საფლავი არვინ იცოდეს,
თორემ მომხდური თათარი
მე მკვდარსაც არ შემიცოდებს;
არ შემიბრალებს მონღოლი,
ჩემს წმინდა საფლავს წაბილწავს;
ცოდვის ცეცხლს წაუკიდებენ
სამშობლოს ზეცას და მიწას.
ეს თქვა თამარმა და ფართო
შავი თვალები დახუჭა,
სიკვდილის ბევრჯერ მძლეველი
დღეს სიკვდილს ვეღარ გადურჩა.
ვაჟკაცებს ცრემლით აევსოთ
ცეცხლისმფრქვეველი თვალები
და სისხლით შუბლზე ეწერათ
თამარის დანაბარები.

* * *

ცხრა დღეს იტირეს ცხედარი
დიდებულ თამარ მეფისა,
მეცხრე ცათამდის ავიდა
გლოვა და ზარი ქვეყნისა
და უპირქუბოდ ჩამოდგა
დღე ცხედრის წასვენებისა.
ცხრა კუბო გამოიტანეს,
მხრებით წაიღეს ცხრა მხარეს,
შავმოვლებული დროშები
ხელისკანკალით დახარეს.
ცხრა მხარეს ხალხი დიოდა
ცხრა მთაზე გადამავალი,
ცხრა კუბო მხრებით მიჰქონდათ
და არ იცოდა არავინ,
მაინც რომელში ესვენა
მეფეთამეფე თამარი.
ანდერძს მომაკვდავ მეფისას
ვინ გაიგებდა, აბა ვინ?
ორ მოყმეს გარდა არავინ
იცოდა იგი ამბავი.
იმ ორმა ხალხის მალულად

მთაში გათხარა საფლავი
მათ ჩაასვენეს მიწაში
თამარი მანათობელი,
მათ დაიტირეს ღირსეულ
ქართველთა დედა-მშობელი
და ქვითინებდნენ ვაჟკაცნი
თვალზე ცრემლშეუშრობელნი.
დამარხეს, სადაც მთის ძირას
წყაროს ჩუხჩუხი გაისმის,
სადაც პირველად მაისობს
ფერად-ფერადი მაისი.
დამარხეს... მერე ბილიკით
დაეშვნენ, თურმე, თავქვეზე,
წყაროსთან შესდგნენ და ცივი
წყალი ისხურეს სახეზე,
მიწანათხარი ხანჯლები
ტიტველა ქვებზე დალესეს,
დალესეს, მერე გასცვალეს,
ერთმანეთს გადაეხვივნენ,
ჯერ გადაჰკოცნეს და მერე
სამშობლო მიწას ემთხვიენ.
მიწას ემთხვიენ, წამოდგნენ
გალომებული ვაჟები...
ამბობენ, თურმე, ერთმანეთს
გულებში დაჰკრეს ხანჯლები
და მოჩუხჩუხე წყაროსთან
სისხლი დაღვარეს ალალი,
რომ ქვეყნად არვის გაეგო
სადა მარხია თამარი.

ირანული იგავები

დიდი ჩინით დაბრმავებული

ერთმა კაცმა დიდი ჩინი მიიღო. მასთან ძველი კარგი მეგობარი მივიდა და მიულოცა. მასპინძელმა გაიკვირვა და ჰკითხა:—ვინ ხარ და რისთვის მოსულხარო. სტუმარს შერცხვა და სთქვა:—განა, ვერ მიცანი? შენი მეგობარი ვარ, გავიგე დაბრმავებულხარ და მოსასამძიმრებლად მოვედიო.

ისიც აქ მოვაო

ერთმა კაცმა ერთ დერვიშს ჩალმა მოსტაცა და გაიქცა. დერვიში სასაფლაოზე წავიდა და ქვაზე ჩამოჯდა. ხალხმა უთხრა:—ის კაცი, შენ რომ ჩალმა მოგტაცა, ბაღისაკენ გაიქცა და შენ აქ რატომ დამჯდარხარო. დერვიშვმა უპასუხა:—ისიც ბოლოს აქ მოვა და ამიტომ ვზივარ აქაო.

თარგმნა ირანულიდან
ანდუყაფარ ჭეიშვილმა

ᲙᲚᲐᲕᲓᲘᲐ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲣᲠᲩᲚᲔᲑᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ

ორშაბათი, 27 იანვარი. დღეს პირველად დამაგვიანდა სასწავლებელში, ისიც რუსულის გაკვეთილზე. ცუდად დავიწყე ორშაბათი. დერეფანში სასწავლო ნაწილის გამგე წამაწყდა. მისაყვედურა. არ მინდოდა მეტირა, მაგრამ ცრემლები ჩემდა უნებურად წამომცვივდა. სულ იმ ოხერი წინსაფრის ბრალია. ერთი საათი მაინც ვეძებე დილით.

ირინემ რომ გაიგოს, უყურეთ მერე, დაცინვით არ მომასვენებს!

ოთხშაბათი, 29 იანვარი. დღეს რგოლის შეკრება გვქონდა. დარეჯანს საყვედური გამოვუცხადეთ დაგვიანებისათვის. გამახსენდა ჩემი გუშინდელი დაგვიანება. შემრცხვა: რგოლის ხელმძღვანელი მაინც არ ვიყო! უცნაური გოგოა დარეჯანი, ჩემი დაგვიანების შესახებ არაფერი სთქვა.

ირინეს ახალი ფორმა უყიდეს. მე მისი ძველი ფორმა გადამიკეთეს.

ნეტავ, უმცროსად არ დავბადებულიყავ! მე ხომ მუდამ უმცროსი ვიქნები?!

მამამ დამაიმედა: ახალ ფორმას შენც მალე გიყიდიო.

სამშაბათი, 4 თებერვალი. ჩვენი ოთახი სულ არეულია. ამიტომ არის, დილით ტანსაცმელს რომ ვერ ვპოულობ.

ირინე მთელ დღეს ან პიანინოზე უკრავს, ან კითხულობს. თუ უთხარი რამე, გაიძახის:

— დატვირთული ვარ, დრო არა მაქვსო. აქაო და ფრიადოსანი ვარო. მეც ხომ ფრიადოსანი ვარ! მაგრამ უმცროსი რომ ვარ, უნდა ყოველთვის მე მივალაგო ოთახი.

ხუთშაბათი, 6 თებერვალი. რგოლის შეკრებაზე ქეთინომ წინადადება შემოიტანა:

— სკოლის სამზარეულოში სადილი გავაკეთოთ და მასწავლებლები და პიონერთა ხელმძღვანელი მოვიწვიოთო.

მერი აუხირდა:

— რგოლის შეკრება და სადილი ჯერ არ გამიგონიაო.

— ამასწინათ დარეჯანის დედა რომ ავად იყო, დარეჯანმა სადილი ვერ გააკეთა, ყველანი უსადილოდ დატოვა, კარგი იყო? — გაცხარდა ქეთინო.

ქეთინოს აზრი ყველას მოგეწონა.

პარასკევი, 14 თებერვალი. დედამ სადილისათვის სანოვაგე მომცა. ირინე არ მომეშვა, სულ მეკითხებოდა:

— რად გინდაო?

რა სისულელე ვქენი, რომ ვუპასუხე! ცხვირი აბზიკა და მითხრა:

— მზარეული გინდა გამოხვიდე?!

დედა გაუჯავრდა:

— ადამიანმა ყველაფერი უნდა იცოდესო.

შაბათი, 15 თებერვალი. რა კარგად ჩატარდა ჩვენი სადილი! მოსაწვევი ბარათები მე დავხატე და ლამაზად დავწერე.

პიონერხელმძღვანელმა ვეებერთელა თაიგული მოგვიტანა.

სადილით ყველა კმაყოფილი დარჩა, მხოლოდ კარტოფილის კატლეტს მარილი აკლდა. დამრიგებელმა გვანუგეშა:

— ასეთი რამ კარგ დიასახლისსაც მოუვაო.

კვირა, 6 აპრილი. დიდი ხანია დღიურისათვის ხელი აღარ მომიკიდია. ავადმყოფობამ გამიუფერულა ზამთრის უკანასკნელი დღეები.

ახლა უკვე გაზაფხულია. ჩვენს ფანჯარასთან მწვანე კაბით მოირთო ნუშის ხე, კეკლუცობს და თავს მაწონებს.

რა ძნელი ყოფილა დიდხანს ავადმყოფობა! წინათ რა სულელი ვყოფილვარ, ავადმყოფობას ვნატრობდი, მომეფერებიან-მეთქი. მართლაც მეფერებიან, მაგრამ მაინც აღარ მინდა ავადმყოფობა.

დღეს დილით ირინემ ფეხსაცმელებიც კი გამიწმინდა. თურმე სულ ტიროდა, ჩემთან რომ არ უშვებდნენ.

როგორ შემოუშვებდნენ, ქუნთრუშა გადამდებია.

ხვალ დილით სკოლაში მივდივარ. როგორ გავუძლო ამდენ სიხარულს! ნეტავ, როგორ არიან სკოლაში გოგოები, ან ჩემი რგოლი

როგორ მუშაობს? ალბათ რგოლს ნანა ხელმძღვანელობს. როგორ შემხვდებიან! იქნებ დავავიწყდი კიდეც ყველას. არა, ნანას არ დავავიწყდებოდი!

ირინემ წინსაფარი, საყელო და პიონერის ყელსახვევი დამიუთოვა, ხვალ დაგჭირდებაო. რა კარგი შეიქნა ირინე, სულ აღარ ვჩხუბობთ! ყელსახვევი გავიკეთე და სარკეში ჩავიხედე. ახლა გამახსენდა, ჩემი ნაწნავები რომ აღარა მაქვს, რა უშნო ვარ! აწი აღარავის ვეყვარები. სკოლაში გოგოებმა რომ დამცინონ, რაღა ვქნა! ჩემდა უნებურად მომდის ცრემლები. ირინე მეკითხება:

— რა დაგემართა?

მე არაფერს ვეუბნები. აღარ მეშვება. მეც ვუმჟღავნებ ჩემს გულისტკივილს. ირინეს რომ ჰკითხო, თითქოს მიხდება თმის შეკრეჭა.] მანუგეშებს:

— ზოია კოსმოდემიანსკაიას გავხარო.

შეიძლება ირინემ სწორი შედარება ვერ მოიყვანა, მაგრამ მაინც მესიამოვნა.

ორშაბათი, 7 აპრილი. მთელი ღამე მოუსვენრად გავატარე. მაღელვებდა დღევანდელი დილა, ამდენი ხნის შემდეგ სკოლაში მისვლის მოლოდინი. მთელი ღამე სიზმარში ზოიას ვხედავდი... ვითომ მე თვითონ ვიყავი ზოია...

სკოლაში წასვლის წინ სარკეში ჩავიხედე. მგონი მართლა ვგავარ ზოიას!

ყველას გაეხარდა სკოლაში ჩემი მისვლა. დამკოცნეს, მომილოცეს გადარჩენა, არავის არ დაუცინია, თითქოს ვერც კი შეამჩნიეს ჩემი გაპარსული თავი.

ალბათ ყველას ვეცოდები.

ოთხშაბათი, 9 აპრილი. საგნებში ჩამორჩენილი ვარ. ნანა მეხმარება, გაკვეთილებს ერთად ვამზადებთ. გაჭირვების დროს ირინეც სიამოვნებით გვშველის. თუ მე არ მინდა, აღარც პიანინოზე უკრავს, არც მე ვუშლი. რა ქნას, ძლიერ უყვარს მუსიკა.

დღეს ნანას გავუმხილე, ირინემ რომ ზოია კოსმოდემიანსკაიას მიმამსგავსა... ძალიან გაეხარდა, ბევრი იცინა, გაუკვირდა: აქამდე ეს მსგავსება როგორ ვერ შევამჩნიეო. მართლაც ზოიას გავხარო, აწი ზოიას დაგიძახებო, რომ ვიცოდე ზოიას დავემსგავსები, მეც ახლავე მოვიკრეჭ თმებსო.

ყველაფერს ვაგროვებ, რაც ზოიაზე დაწერილა. უსათუოდ უნდა დაღემსგავსო მას, ეს ჩემი საიდუმლოებაა.

პარასკევი, 18 აპრილი. მალე გამოცდებიც დაიწყება. ბევრი მუშაობა მჭირდება. მეშინია, ფრიადოსნობა არ დავკარგო. ჩემი დღიური დროებით გვერდზე უნდა გადავდო, თუ ძალიან მნიშვნელოვანი არაფერი მოხდა ჩემს ცხოვრებაში.

კვირა, 20 აპრილი. გუშინ რაზმის შეკრებაზე ჩვენს რაზმს ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელი მიაკუთვნეს. ძლიერ გამეხარდა. რაზმის ეს სახელი უნდა გავამართლო.

ნინო ნაკაშიძე

ნახატები ელ. ახვლედიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი მეგობარი

მოთხრობა

წარსული დროის ამბავს გიამბობთ—ჩემი ბავშვობის ერთ ამბავს.

შვიდი-რვა წლის ბიჭები ვიყავით. ჯერ კიდევ სკოლაში არ ვსწავლობდით. დავრბოდით, ვთამაშობდით, ვმღეროდით და მთელი ჩვენი სოფლის შარაგზას ჟრიამულით ვავსებდით, განსაკუთრებით, როდესაც, დედებთან ერთად, სადილი არ მიგვქონდა ყანაში მომუშავე მამებისათვის. ლადოს მამა ხარაზი იყო და ამიტომ მის დედას არ სჭირდებოდა ყანაში სიარული. ლადო ჩვენ დაგვყვებოდა, რიგრიგობით გვეხმარებოდა სადილის წაღებაში. უყვარდა ყანაში წამოსვლა, უყვარდა სიმინდის გრძელი ფოთლების შრიალი და საუცხოოდაც ბაძავდა ამ შრიალს. გეგონებოდათ ნაზ ნიავზე ირხევა სიმინდის ყანა და ნაზი ხმაურით ავსებს ჰაერსო.

ყანაში მომუშავე გლეხების გასართობად რას არ მოიგონებდა ხოლმე: ჩვენ პატარა ამხანაგ ნიკოს აუშვებდა ხეზე და შესძახებდა: „ძირს ნიკოლოზ, ძირს ნიკოლოზ!“ ნიკო ცდილობდა არ ჩამოსულიყო ხიდან, მაშინ ლადო გრძელი კომბლით შეუტევდა და ძირს ჩამოახტუნებდა.

— შენ, ბიჭო, ლადო, ნამდვილი რევოლუციონერი ხარ! — ვეუბნებოდით სიცილით.

ლადოც შეიფერებდა ჩვენს ნათქვამს და სიცილითვე გვიპასუხებდა:

—მაშ რა გგონივართ, რევოლუციონერი ვარ, რევოლუციონერი! — და მოჰყვებოდა სასიამოვნო ხმით სიმღერას:

— ძირს ნიკოლოზ, ძირს ბორკილები,
ჩვენ აღარ გვინდა, არა, მონობა!

* * *

ლადო ჩვენზე უფროსი როდი იყო, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ჩვენზე ყო-

ჩაღი კი იყო. სირბილი, ჭიდაობა, ლახტობა მისი მოგონილი იყო და შურდულის სროლაში ხომ ვერავინ სჯობნიდა.

ერთხელ მეზობლის — გაბრიელის ეზოსთან გავიარეთ, ხუთნი ვიყავით. ბაღში, ღობის შიგნით, მაღალი ვაშლის ხე იდგა. ვაშლის ხეს ტოტები ბაღისკენ ჰქონდა გაწვდილი და მხოლოდ ერთი დიდი ტოტი წვეროდან, ღობის აქეთ, შარისაკენ გადმოშვერილიყო.

შევხედეთ ნაყოფით დახუნძლულ მცენარეს და ყველას ძალიან მოგვინდა ვაშლის ჭამა. მაგრამ როგორ უნდა მოგვეხერხებინა?! ღობეზე გადასვლა და სხვის ბაღში შესვლა ხომ არ შეიძლებოდა! ვაშლები კი ისე ნათლად იცქირებოდნენ მწვანე ფოთლებში, რომ მოთმინება გვეკარგებოდა.

— გინდათ, მე ჩამოვაგდებ ვაშლებს! — დაიძახა ლადომ. სწრაფად უბიდან შურდული ამოიღო, მოსწია და გაისროლა. ვაშლი მოწყდა ხის კენწეროს და ტრიალით ჩამოვარდა.

— დაიცათ, არ შეჭამოთ! — წამოიძახა ლადომ,—ჯერ ყველასთვის ჩამოვაგდებ თითო-თითოს და ყველამ ერთად ვჭამოთ!

ხუთჯერ გაისროლა შურდული და ხუთი ვაშლი ჩამოაგდო. ყველამ ჩავკბიჩეთ ვაშლები და ძლიერ გვეგემრიელა. ცოტა ხანს მახლობლად მინდორზე ვითამაშეთ და ბოლოს ხუთივემ ლადოს ბინისაკენ გავწიეთ.

ეზოში ლადოს დედა და მეზობელი გაბრიელი ლაპარაკობდნენ. გაბრიელის დანახვაზე ჩვენი სამი ამხანაგი საჩქაროდ მოტრიალდა და უკან გაიქცა. ლადო და მე კი შევჩერდით.

— აპაა, ამას უყურე!—მოაძახა დედამ ლადოს,—არ იცი, ბიჭო, რომ სხვის ბაღში არ უნდა შეხვიდე უკითხავად?

— ჩვენ სხვის ბაღში არ შევსულვართ, — უპასუხა ლადომ. ადგილიდან დავიძარით და მოსაუბრეებს მივუახლოვდით.

— ერთი ამას უყურეთ! აბა, ეს პატიოსანი კაცი ტყუილს ამბობს! წეღან ნამდვილად გაბრიელის ბაღში ვაშლები მოგიკრეფიათ.

— ვაშლები არ მოგვიკრეფია, შურდულით ჩამოვაგდე. გაბრიელის ვაშლის ხე ხომ ბაღშია, დედა, მე კი ხუთი ვაშლი შარაზე გადმოშვერილი ტოტიდან ჩამოვაგდე.

მეზობელს გაეცინა, ლადოს დედას—ნინოსაც სახეზე ღიმილი შეეპარა. მალე ისევე მწყრალი შეხედულება მიიღო და ლადოს მუქარით უთხრა:

— დამაცა მე შენ... მოდი აქ ახლავე!..

ლადო წაიწია მისასვლელად, მაგრამ ისევ შეჩერდა და ჰკითხა:

— რატომ?

— რატომ და ერთს კარგად გცემ.

— ცემისათვის მოვიდე?! მე არ მინდა მცემო.

ნინო მიუბრუნდა ქმარს, რომელიც იქვე მახლობლად, პატარა სახლის წინ იჯდა და წაღებს კერავდა.

— რა არის, ადამიანო, რომ ბავშვს არაფერს არ ეუბნები, ასე უნდა იზრდებოდეს? უთხარი რამე!

— ლადო!—დაუძახა მამამ.

ლადო მივიდა მამასთან.

— არ გრცხვენია, ბიჭო, ვაშლებს იპარავ?

— მე ვიპარავ, მამა, ვაშლებს?! ის, რაც ბაღში არ არის და ღობის გადმოღმაა, გზაზე, ის განა ჩვენი გაბრიელისაა? რაც ბაღშია და რაც ბაღში არ არის, ყველა მისია?!

— რომელი ვაშლიდან ჩამოაგდო, გაბრიელ?

— აი, აქეთ კუთხისაკენ რომ შაქრის ვაშლია, შურდულით ჩამოაგდო...

— იმ სიმაღლიდან, როგორ ჩამოაგდე, ბიჭო, შურდულით?

სწორედ ამ დროს სახლის წინ ხეზე ყვავი შემოჯდა. კრუხი და მისი პაწია ყვითელი წიწილები დაფრთხნენ და გაიქცნენ. დედამ ვერც კი მოასწრო ჰაუს შეძახება, რომ ლადომ გამართა თავისი შურდული და ყვავს ესროლა.

შურდულის კენჭმა გაიზუზუნა, ყვავს თავში მოხვდა და ფრინველი ძირს ჩამოვარდა.

— აი, დედა, ჩვენი წიწილების მტერი... აწი აღარ დაგვეკარგება წიწილები.

ყველას გაეცინა. ამ შემთხვევით ისარგებლა ლადომ და უფროსების საუბრის ხასიათი რომ შეეცვალა, მამას მიუბრუნდა:



— მამა, შენ ხომ დამპირდი წაღებს შეგიკერავო, როდის შემიკერავ? სულ ფეხშიშველა უნდა ვიარო?

— სულ რათა, ბიჭო, აი, შემოდგომაზე დედაშენი სკოლაში მიგაბარებს და იმ დროისათვის შეც წაღებს შეგიკერავ...

— მამა, აი ჩემი ამხანაგი გიაც სკოლაში შედის და ფეხსაცმელი არც ამას აქვს.

ლადოს მამამ როგორღაც გადმომხედა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მეც ფეხშიშველი ვიყავი.

— რაკი არა აქვს, რა გაეწყობა, ჭკუით იყავით და მაგასაც შევუკერავ...

— განა ახლა სულელები ვართ, მამა?!

— სულელი კი არა ხარ, ბიძია, მაგრამ მეტი წინდახედულობა გმართებს. თუ შემდეგში მოგინდეს ვაშლი, მთხოვე და მე თვითონ მოგცემ, — უთხრა ლადოს გაბრიელმა.

დარცხვენილმა ლადომ თავი დახარა.

აფორიზმები

ნათესავი ნაწილია ჩვენი ხორცისა, ხოლო მეგობარი ნაწილია ჩვენი სულისა.
(არისტოტელი)

უპირველესი სათნოება — მამულისათვის თავის დადებაა. **(ნაპოლეონი)**

ბუნებამ გარჯა საჭიროდ გაგვიხადა, საზოგადოებამ მოვალეობად და ჩვეულებამ სიამოვნებად. **(ბუასტი)**

ადამიანი მოქმედებისათვისაა გაჩენილი, უმოქმედოთ ყოფნა წინადღით სიკვდილია.
(ბუასტი)

სამშობლო ქვეყანა ისე პატარა არ იქნება, რომ თვით უდიდესი სიყვარული არ დაიტიოს; რაც უფრო ვიწროდ გარს შემოგერტყმის, მით იგი ახლოა გულთან.
(ბულერი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეისწავლე საშობლო მხარე

პროფ. ალექსანდრე ჯავახიშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ჩემი რჩევა-დარიგება ნორჩ მოგზაურებს

სკოლებში მალე დამთავრდება სწავლა და გამოცდები. დაიწყება საზაფხულო არდადეგები, ე. ი. პერიოდი ტურიზმისა, ალპინიზმისა და მოგზაურობისა. ისმება კითხვა: სად წავიდეთ, რა გავაკეთოთ?

თქვენ შეგიძლიათ ინახულოთ და შეისწავლოთ ისეთი ადგილები, სადაც მუშაობდა და მოღვაწეობდა ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი, საქართველოს ძველი ისტორიული ადგილები და ძეგლები, მაგრამ აგრეთვე ბევრი რამ შეგიძლიათ გააკეთოთ გეოგრაფიის დარგში — ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ საწარმოო რესურსთა შესწავლა-გამოვლინებაში.

ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დიდი მუშაობა ჩატარდა ჩვენი ქვეყნის შესწავლის საქმეში, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მრავლადაა ისეთი ადგილები, რომლებიც საკმაოდ შესწავლილი არაა. ჩვენი მეცნიერული ძალები ჯერ კიდევ საკმარისი არ არის, რათა ზედმიწევნით შეისწავლოთ და გამოვავლინოთ ყოველი კუთხე, მისი საწარმოო ძალები, მათი შესაძლებლობანი. რამდენი რამ შეგიძლიათ აღმოაჩინოთ და შეისწავლოთ თქვენი მოგზაურობის დროს და ამით ერთგვარი მონაწილეობა მიიღოთ მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის განხორციელებაში!

საქართველო თავისი ბუნებრივი პირობებით მეტად მრავალფეროვანია. მის თითოეულ კუთხეს მრავალი თავისებურება ახასიათებს ზედაპირის მოყვანილობის, სიმაღლითი მდებარეობის, ჰავისა და ამინდიანობის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, მცენარეული და ნიადაგსაფარისა და ფაუნის მხრივ. ამიტომ პიონერ-რაზმების მოგზაურობათა მარშრუტი შეიძლება ნებისმიერი იყოს. ამავე დროს ეცადეთ აიღოთ ისეთი ობიექტი, რომელსაც დასძლევთ საკუთარი ძალებით და უფრო დეტალურად შეისწავლით.

ძოგზაურობისა და ექსკურსიების დროს თქვენ საკუთარი თვალით ნახავთ, როგორ იყენებს მოსახლეობა თავის საქმიანობაში ყოველდღიურად ბუნებრივ საწარმოო რესურსებს და ჩვენი სოციალისტური სამშობლო რა ღონისძიებებს ღებულობს ამ ბუნებრივ საწარმოო ძალთა გამოსაყენებლად მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის. საქართველოს ბარის კუთხეებში თქვენ ნახავთ სოფლის მეურნეობის ინტენსიურ კულტურებს, მთიან მხარეებში — მეცხოველეობის განვითარებას, საბადოებით მდიდარ ადგილებში — სამთამადნო მრეწველობას, მინერალური წყლებით და კეთილი ჰავით მდიდარ ადგილებს, გადაქცეულთ ხალხის ჯანმრთელობის დამცველ მშვენიერ კურორტებად და მშრომელი ხალხის დასასვენებელ კუთხეებად.

თქვენი მოგზაურობის დროს უნდა აწარმოოთ დაკვირვება ბუნების მოვლენებზე, სახალხო მეურნეობის დარგებზე, წიაღისეულ ბუნებრივ სიმდიდრეზე და სხვ.

თქვენი მოგზაურობის შედეგად შეკრებილი და მოწოდებული ყოველი ცნობა ძვირფასი იქნება ჩვენი საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებებისათვის. დაწესებულება, რომელიც მიიღებს თქვენგან ცნობებს, დეტალურად შეისწავლის და გამოარკვევს მათ მნიშვნელობას, ამით პიონერებსაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ჩვენს სამეცნიერო-საკვლევ და საწარმოო დაწესებულებებს.

ამის მაგალითად მოგაგონებთ ორიოდე ფაქტს.

1936 წელს თურქმენი პიონერის, მამედ ქარსაკპაევის მითითებით ყარა-ყუმის უდაბ-

ნოში აღმოჩენილ იქნა სპილენძის მდიდარი საბადო. კარსაკპაევმა მთავრობის მადლობა დაიმსახურა და ფულადი პრემია მიიღო.

1938 წელს მე-10 კლასის მოსწავლემ ვლადიმერ ბოგუსლავსკიმ ხაბაროვსკის (შორეული აღმოსავლეთი) გეოლოგიურ ლაბორატორიაში ქვანახშირის ნატეხი მიიტანა. გაგზავნილ იქნა გეოლოგების საძიებო ექსპედიცია და ბოგუსლავსკის მიერ მითითებულ ადგილებში აღმოჩენილ იქნა მურა-ნახშირის მდიდარი საბადო. ამჟამად ერთ-ერთი მაღარო ბოგუსლავსკის სახელსაც კი ატარებს. რატომ არ შეიძლება თქვენც მოგზაურობის დროს ყურადღება მიაქციოთ ყველა იმ მინერალის ან მადნეულის გამოსავალ ნიშნებს, რომლებიც შეიძლება მდიდარ საბადოს წარმოადგენდეს?

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ აგრეთვე ამა თუ იმ სოფლის, ადგილის, მდინარის, მთისა და სხვათა გეოგრაფიულ სახელწოდებათა არა მარტო სწორ გამოთქმას, არამედ შეეცადოთ ახსნათ მათი მნიშვნელობა და სახელწოდების წარმოშობაც; თუ შესაძლებელი იქნება, გადაიღოთ ფოტოსურათები, დაამზადოთ ჩანახატები, დიაგრამები, სქემები და სხვ.

მოგზაურობის შემდეგ სასურველია ჩააწეროთ საუბრები, საღამოები, მოაწყოთ აზრთა გაცვლა-გამოცვლა და გააცნოთ ერთმანეთს საკუთარი ჩანაწერები, ნახაზები.

დასასრულ ვთხოვთ ყველა პიონერ-რაზმსა და ცალკე პიონერებს თავისი ჩანაწერები, ფოტოსურათები, ჩანახატები გამოგზავნონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში (თბილისი, მარის ქ., № 1.) აღნიშნულ მასალებს ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენი ქვეყნის სრული გეოგრაფიული აღწერილობის დასაწერად, რაზეც მუშაობს ამჟამად გეოგრაფიის ინსტიტუტი.

თბილისი. პიონერ-მოსწავლეების ექსკურსია ქალაქგარეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცნაური ფული

დააკვირდით ამ სურათს.

ეს კაცი ბაზარში მიდის საყიდლებზე და ოფლის ღვრით მიაქვს ფული—რამდენიმე-ფუთიანი ქვა.

უთუოდ გაგაკვირვებთ ასეთი ფული, იქნებ არ დაიჯეროთ, მაგრამ ასეთი ფული არსებობს.

წყნარ ოკეანეში, ფილიპინის კუნძულების აღმოსავლეთით, არის კაროლინის არქიპელაგი, რომლის შემადგენლობაში 710-მდე კუნძულია. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ოთხი—პონაპე, ტრუკი, კუსაე და იაპი. ეს კუნძულები ვულკანური წარმოშობისაა. მათი ჰავა ტროპიკულია, მაგრამ ქარი ქრის და ავრილებს ჰაერს. ხშირად ამოვარდება საშინელი გრიგალი. ამ კუნძულებზე ტროპიკული ტყეები კარგად იზრდება. კარგად ხარობს პურის ხე, ბანანი, ქოქოსის პალმა, ხის მაგვარი გვიმრა. ზოგ კუნძულზე მხოლოდ ქოქოსის პალმებია. კუნძულების მკვიდრ მოსახლეობას მიკრონეზიელები წარმოადგენენ. ისინი უმთავრესად მეთევზეობასა და პრიმიტიულ მიწათმოქმედებას მისდევენ. ხალხი გაუნათლებელია, ღატაკი, მათ შორის გავრცელებულია ბევრგვარი ავადმყოფობა.

კუნძულ იაპზე, რომელიც ფილიპინებიდან დაახლოებით 1200 კილომეტრზეა, ადგილობრივ მცხოვრებთა აღებ-მიცემობაში წისქვილის ქვასავით გახვრეტილი ბრჭყვიალა ქვის ფულია მიღებული ხმარებაში. ხურდა ფული 5-6 დუიმის სიგანეა, მსხვილი ფული კი ორი კაცის სიმაღლეა. ვთქვათ, კუნძულ იაპის მცხოვრებმა მეორე სოფელში იყიდა ძვირფასი რამ. მყიდველი თავს მოუყრის თავის მეგობრებს, ყველანი მიესევიან უზარმაზარ გათლილ ქვას—მსხვილ ფულს, ნახვრეტში სარს გაუყრიან და ქაქანით წაათრევენ მეორე სოფელში გამყიდველისათვის გადასაცემად. კაცის სიმაღლე ასეთ ქვაში იქაური მდიდრები რამდენიმე სოფელს იძლევიან თავის პლანტაციებიანად. წვრილმან ვაჭრობას გაცვლა-გამოცვლით აწარმოებენ: ნავთში, ფონოგრაფში, საკრავში იაპელები იძლევიან წიწილებს, კვერცხს, შინაურ პირუტყვს...

იაპელებს მეფე ჰყავთ. როდესაც დედოფალი მიდის სავაჭროდ, მას ხვნეშით მისდევს ახოვანი იაპელი ვაჟკაცი, რომელსაც ქვის ფული აქვს ზურგზე წამოკიდებული.

კაროლინის არქიპელაგი სხვადასხვა დროს ეკუთვნოდა პორტუგალიას, ესპანეთს, გერმანიას და შემდეგ იაპონიას.

შ. თაბუკაშვილი



გამოფენა სკოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალმა, თავაზიანმა ბიჭუნამ პატარა, მაგრამ ნათელ ოთახში მიგვიპატიჟა. კარებზე ლამაზად მსხვილი ასოებით ეწერა: „გამოფენა“. პირდაპირ კედელზე დიდი ბელადის სურათია ნორჩი მხატვრის შესრულებული.

მარცხენა მხრიდან დავიწყეთ გამოფენის დათვალიერება. თვალს იტაცებს ერთი ზომის მდიდრულად ილუსტრირებული კედლის გაზეთები, სახელწოდებით „ლიტერატურული ახალგაზრდობა“. წერილები, ლექსები, მოთხრობები, რეცენზიები, ლიტერატურული ქრონიკა ლამაზად არის განლაგებული თითოეულ ნომერში. აქვე მოთავსებულია ქართველ და უცხოელ მწერლების პორტრეტები. გაზეთებთან ერთად წარმოდგენილია დამატებანი ბიულეტენების სახით. მასში უფრო სჭარბობს კარიკატურები, ყურმოკრული ამბები, პატარა ფელეტონი, ანდაზები, გამოცანები. აქ თავმოყრილია მთელი სასწავლო წლის ნომრები, რომლებშიაც ნათლად დახატულია მოსწავლეთა ცხოვრება, მათი ნაკლი, თუ მიღწევა.

შემდეგ ნორჩი მხატვრების ნამუშევრები დავათვალიერეთ. მოსწავლენი მარჯვედ იყენებენ როგორც ზეთის ფერებს, ისე აკვარელს, აგრეთვე ტუშს და ფანქარს. ყურადღებას იპყრობს ცალკეული ნახატები: „ზღვაზე“, „კავკასიის დაცვა“, „მაიაკოვსკი ქუთაისის გიმნაზიაში“, „დარიალის ციწროებში“, „ბანაკში“. მათი ავტორები (ა. სამაშვილი, ავ. გაჩეჩილაძე, ბ. ტირაცოვი, ჯ. ლომსაძე, ირ. ლეჟავა) თავიანთ ჩანაფიქრს ნიჭიერად გადმოგვცემენ. ზოგჯერ მათ ნახატებში არის მიდრეკილება განყენებული, არაფრისმთქმელი პეიზაჟებით დაინტერესებისა. სურათი „მოცეკვავე ქალი“, თავის მოფიქრებით, შეუფერებელია ნორჩი მხატვრისათვის.

გამოფენის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ლიტწრის მიერ მოწყობილ საღამოებს. აქ თავმოყრილია აფიშები, საღამოს პროგრამები, კედლის გაზეთები. გამოფენაზე მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიძღვნილი საღამოს ექსპონატები. აქ არის საღამოზე წაკითხული მოხსენებები: „სიცოცხლის მომღერალი“ (მოსწავლე გ. მელიქიშვილი), „ა. ყაზბეგის დრამატურგია“ (დ. დათუნაშვილი), მწერლის სურათი შესრულებული მოსწავლე ა. გაჩეჩილაძის მიერ, ფოტოები ალ. ყაზბეგის „არსენასა“ და „კონსტანტინე ბატონიშვილის“ სცენებიდან, რომელიც წარმოადგინეს ლიტწრის წევრებმა. აქვეა გამოფენილი რეცენზია „ორი სპექტაკლი“, რომელშიც განხილულია აღნიშნული დადგმები.

ასევე მდიდრულად არის წარმოდგენილი გამოფენაზე საღამოს მთელი პროგრამული მასალა, რომელიც მიუძღვნა წრემ ჟურნალ „პიონერს“. აქ ნახავთ მკითხველთა მეტად საინტერესო შინაარსის ანკეტებს, მოხსენებას: „ჟურნალი „პიონერი“ 1946 წელს“ (მოხსენება მოსწავლე ნ. იაკობაშვილისა), ჟურნალისადმი მიძღვნილ ლექსებს. თითოეული ექსპონატი გულმოდგინედ და ფაქიზად არის მოვლილი. მაგრამ ყველაზე შესანიშნავია უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი, იანვრის თვეში გამართული საღამოკონცერტის ექსპონატები, რომელთაც გამოფენის ერთი კუთხე აქვთ დათმობილი. აქ არის საინტერესო ექსპონატი საღამოზე წარმოდგენილი ლიტერატურული მონტაჟისა — „ჩვენ ხმას ვაძლევთ ხალხთა ბელადს“. აქვეა მოსწავლეების ზ. ოთხმეზურისა და ნ. გოგებაშვილის ფოტოები: „ამომრჩევლები უსმენენ კონცერტს“, „კონცერტის მონაწილენი“.

ყურადღებას იპყრობს ლიტწრის ორგანო ჟურნალი „ნორჩი შემოქმედის“ ნომრები. ლამაზი, ფერადყდიანი ჟურნალი ფაქიზად გადაწერილი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. ჟურნალებში გვმოვნებით არის განლაგებული მასალები. პირველი ნომერი იხსნება ბელადის სურათით. შემდეგ მოდის ლექსები, მოხსენებები, თარგმანები, კრიტიკული სტატიები, რეცენზიები, ქრონიკა და სხვა.

ადრე, სასწავლო წლის დამდეგს, ჟურნალმა გამოაცხადა კონკურსი კარგ მხატვრულ ნაწარმოებზე. ჟურნალის უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებულია ჟიურის ცნობა. მოსწავლე ა. გაჩეჩილაძემ მიიღო პირველი ხარისხის პრემია მოთხრობისათვის „დაფიცული“, ხოლო მოსწავლე ნ. კუპრავამ მეორე ხარისხის პრემია ლექსებისათვის „გაზაფხულის სურათები“. კონკურსში გამარჯვებულთ ჯილდოთ მიეცათ გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ ერთი წლით. ასეთი წამახალისებელი იყო ჟურნალის კოლეგიის მუშაობა.

მოთხრობები ჟურნალის ცალკეულ ნომრებში ცოტაა. ზოგიერთი მოთხრობა („ბედის ნაკვანძი“) ბუნდოვანია და მოკლებული

ცხოვრების ცოდნას. შედარებით კარგია მოთხრობები: „ცისიერი“, „უსათაურო“ „სიზმარი“ (გაჩეჩილაძე). საერთოდ პროზის ჟანრით ნაკლებად არიან დაინტერესებული ნორჩი შემოქმედნი.

ჟურნალებში სჭარბობს ლექსები. ნორჩი ავტორები ხშირად (ნ. იაკობაშვილი, ბ. ნინოშვილი) იდეურსა და მხატვრულად დამაკმაყოფილებელ ლექსებს ათავსებენ, მაგრამ ჟურნალში ყველა ლექსი როდია გამართული. აქ ხშირად შეხვდებით ბუნდოვანს, იდეურობას მოკლებულ სტრიქონებს, მოძველებულ მხატვრულ სახეებს, არაბუნებრივ ნაღვლიან განწყობილებას და სხვა.

შეუფერებელია ნორჩი ავტორისათვის ასეთი ძველი და ნაძალადევი სახე:

„დღეს კი როგორც ანგელოზმა ავსული
გადიბერტყა ძველი მტვერი ქალაქმა“.

ლექსში „შენ სიმს აყღერებდი ტბის ნაპირთან მდგარი“ არის შეუსაბამო სტრიქონები. ავტორი წერს:

„მთვარიან ღამის წყვდიადს გავხედე,
ვნახე ზმანება მე საკვირველი“.

ღამე თუ მთვარიანი იყო, წყვდიადიც აღარ იქნებოდა. ასეთ დაუკვირვებულობას იჩენენ ზოგჯერ ახალგაზრდა ავტორები.

მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალ „ნორჩი შემოქმედის ნომრებში არის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება, აგრეთვე თარგმანები.

საერთოდ ეს ჟურნალი, გაფორმებითა და შინაარსით, ყველას ყურადღებას იქცევს. ნორჩი ავტორები ამ ჟურნალში ღებულობენ შემოქმედებით წრთვნას მომავალი დიდი მუშაობისათვის.

ეს წინასწარი შემოქმედებითი წვრთნა განვლეს ჩვენმა დიდმა პოეტებმა—ნ. ბარათაშვილმა თბილისის გიმნაზიაში, ვაჟა-ფშაველამ გორის საოსტატო სემინარიაში. ასე ხდებოდა მუდამ, ასე ხდება ჩვენს დიდ ეპოქაში. ნორჩი შემოქმედი ჯერ კიდევ სკოლის კედლებში უნდა შეუდგეს შემოქმედებით წრთვნას.

გამოფენიდან გასასვლელ კარებთან მაგიდა დგას—რვეულით და საწერ-კალმით. ქოჩორა ბიჭუნა ფეხზე დგება და სტუმრებს თავაზიანად ეუბნება:

— გთხოვთ, ჩასწეროთ თქვენი შთაბეჭდილება რვეულში!

სტუმარი იღიმება, მაგიდასთან ჯდება და რვეულში წერს: „დავათვალიერე თბილისის ვაჟთა მე-19 საშუალო სკოლის ლიტერატურული წრის ნამუშევართა გამოფენა, მოხიბლული ვარ მოსწავლეთა გულმოდგინებით, ნიჭითა და საქმისადმი სიყვარულით“.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

	გვ.
„პიონერები ბელადთან“—ნახატი შესრულებულია მხატვარ **ალ. გიგოლაშვილის** მიერ	1
ლ. ხომერიკი — გამარჯვების მთავარსარდალი (წერილი)	2
ნ. ჯაში — ბერლინის აღება (დღიური)	6
ლ. მეგრელიძე — მაისის დილა (ლექსი)	8
გ. შატბერაშვილი — ჯერ ისწავლოს, იბეჯითოს (ლექსი)	9
ვლ. სულაბერიძე — ნამდვილი ამბავი (მოთხრობა)	10
გ. კაჭახიძე—დედაქალაქი თბილისი (ლექსი)	13
შ. გვინჩიძე — წიგნი ბელადის ყრმობაზე (წერილი)	14
ქ. ელისაბედაშვილი — იქნება ისე, როგორც უნდა იყვეს (ნაწყვეტი მოთხრობიდან)	17
არ. ონელი—რაზე ჭიკჭიკებს ჩიტი-ჩიორა! (ლექსი)	18
ვ. ველისციხელი—მთის წყარო (მინიატიურა)	19
ოთ. ჭელიძე — თამარ მეფის საფლავი (ლეგენდა)	20
ანდ. ჭეიშვილი—ირანული იგავები	22
კ. დევდარიანი—ფურცლები დღიურიდან	23
ნ. ნაკაშიძე—ჩემი მეგობარი (მოთხრობა)	25
აფორიზმები	27
ალ. ჯავახიშვილი — ჩემი რჩევა-დარიგება ნორჩ მოგზაურებს (წერილი)	28
შ. თაბუკაშვილი—უცნაური ფული (წერილი)	30
ია მაჩაბელი—გამოფენა სკოლაში (წერილი)	31
მაისი (მინიატიურა) . . გარეკანის მე-2	
ბ. ბეთანელი — თედოს ახლა მოაგონდა (ლექსი) . . . . . გარეკ. მე-3	
თ. შავერზაშვილი — პიონერების სიმღერა (მუსიკა) . . . . . გარეკ. მე-4	

გარეკანზე **„საპირველმაისო ზეიმზე“** ნახატი შესრულებულია **გ. თაგორაშვილის** მიერ.

სარედაქციო კოლეგია: **ი. აბაშიძე**, აკად. **ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე, ვ. ვარდიაშვილი**, პროფ. **გ. თავზიშვილი, გ. კაჭახიძე** (პ/მგ. რედაქტორი), **ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.**

უე 02519. ტირაჟი 7000, გამომც. № 54, სტამბის შეკვეთა № 641, ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ საგამომცემლო სამინისტროს ლითოგრაფიაში.

თედოს ახლა მოაგონდა

ლაღად ხარობს ნერგი მსხლისა,
სარზე კოხტად აკრული,
გოგის ხელით გოგის ბაღში
სიყვარულით დარგული.
გოგიც ხარობს, რწყავს და უვლის,
არ ინანებს ძალ-ღონეს,
რტონაყარი ნორჩი მსხალი
გვალვით რომ არ დაღონდეს.
თედომ ნახა, მოეწონა
გოგის მსხალი პატარა.
სთქვა: „საოცრად შესძლებია
ამ ნერგს გვალვის ატანა!“
ყმაწვილს ახლა მოაგონდა
ვაშლის ნერგი თავისი:
„ნეტავ, თუ აქვს იმ პატარას
გოგის ნერგის ხალისი?!“
გაიფიქრა, შინ დაბრუნდა,
თითქოს კიდეც დარდობდა,
მაინც ვაშლის ნერგს იმედით
წყნარად მიუახლოვდა.
მაგრამ, დახეთ, თედოს ვაშლი
მწვანით როდი ლაღობდა!
იმ საბრალოს ერთი ყლორტი,
ერთი კვირტი არ ჰქონდა.
შუქს ვერ გრძნობდა, ვერ ალხენდა
ღღე მზიანი, ღღე წყნარი:
გაძხმარიყო, ნორჩი კანი
ტანზე ჰქონდა შემჭკნარი.

ბორის ბეთანელი

10/453.

10/453

პიონერების სიმღერა

მუსიკა თამარ შავერზაშვილისა

სიტყვები ქ. ქუჩუკაშვილისა

მარშის ტემპით



როცა ჩვენ გვძინავს დიდებთან ერთად,
სიზმრებიც რომ გვაქვს ფერად-ფერადი,
მაშინ არ სძინავს და ჩვენზე ფიქრობს
დიდი სტალინი — დიდი ბელადი.

გაიმეორეთ პირველი ტაეპი.